პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გამოცემის 30-ე წელი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
12 ოქტომბერი
1949 წ.
№ 203 (8506)
ფასი 20 კაპ.

## გერმანელი ხალხის დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

1949 წლის 7 ოქტომბერი გერმანელი ხალხის ისტორიაში შევა როგორც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი მისი განვითარების, ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის მისი ბრძოლის გზაზე. ამ დღეს ბერლინში გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის სახალხო საბჭომ, რომელმაც გამოხატა გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობის ნება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ მთელი გერმანიის ხალხის მასები. იგი შეესაბამება იმ მტკიცე მოთხოვნებს, რომლებითაც ამ უკანასკნელ ხანს გამოდიოდნენ ოკუპაციის როგორც საბჭოთა ზონის, ისე დასავლეთი ზონების გერმანელი მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენები.

გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის გაჩაღებულ სახალხო მოძრაობაში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა გერმანელი ხალხის მისწრაფებამ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საბრძოლველად თავისი დემოკრატიული ძალების დარაზმვისაკენ, მისწრაფებამ საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისა და დემოკრატიული გზით თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების თავისი უფლების უზრუნველყოფისაკენ.

სახალხო მოძრაობამ ასახა ყველა პატიოსანი გერმანელი პატრიოტის დიდი შეშფოთება თავისი ქვეყნის ბედისათვის, რომელიც ინგლის-ამერიკის ბლოკის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გამთიშველი პოლიტიკის შედეგად დანაწილებული აღმოჩნდა. დასავლეთ გერმანიის სეპარატული, მარიონეტული სახელმწიფოს შექმნამ მისი მთავრობით, რომელიც ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტებისაგან შედგება, ძირი გამოუთხარა გერმანიის პოლიტიკურ ერთიანობას. საფრთხე შეექმნა გერმანელი ერის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

ვისთვის არ არის ცხადი, რომ დასავლეთ გერმანიის ოლქებში საოკუპაციო სტატუტის შემოღება, რომელიც მოწოდებულია დიდი ხნით განამტკიცოს ოკუპაციის რეჟიმი, მოასწავებს არა მარტო საზავო ხელშეკრულების დადების ჩაშლას, არამედ აგრეთვე დასავლეთ გერმანიის გადაქცევას უცხოელ იმპერიალისტთა სამფლობელოდ. ხელისუფლების სათავეში აშკარა რევანშისტების, გუშინდელი ჰიტლერელებისა და რურის სამრეწველო მაგნატების დაბრუნება ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ რეაქციის შავი ძალების ბატონობის აღდგენას, ფაშიზმის აღორძინებას. ხოლო ჩრდილო ატლანტიკის აგრესიული ხელშეკრულების სისტემაში დასავლეთ გერმანიის მარიონეტული სახელმწიფოს შეყვანისათვის მზადება მოწმობს, რომ ომის ინგლისელ-ამერიკელი გამჩაღებლები დასავლეთ გერმანიას განიხილავენ როგორც თავიანთ სტრატეგიულ პლაცდარმს.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა თავის ზურგზე განიცდის დამონებისა და ჩაგვრის ამ პოლიტიკის მთელ სიმძიმეს. დასავლეთ გერმანიაზე მარშალის კაბალური გეგმის გავრცელებამ თავისი ნაყოფი გამოიღო მზარდი სიღატაკის, მშრომელი მასების გაჩანაგებისა და მასობრივი უმუშევრობის სახით.

ინგლის-ამერიკის ბლოკის სახელმწიფოთა პოლიტიკა გერმანიის მიმართ წარმოადგენს პოტსდამის იმ გადაწყვეტილებათა უხეში დარღვევების ჯაჭვს, რომლებიც მოითხოვენ გერმანიის გარდაქმნას მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ. უარი დემილიტარიზაციაზე, დენაციფიკაციაზე, დეკარტელიზაციაზე და ამავე დროს რეაქციული ძალებისა და გერმანული მონოპოლიებისადმი მფარველობა — ასეთია ინგლისელ-ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა პრაქტიკა. ბიზონიის შექმნა, ფულის სეპარატული რეფორმის გატარება, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა სეპარატული თათბირები გერმანიის საკითხზე ლონდონში — ასეთია გერმანიის გათიშვისა და დანაწილების პოლიტიკის ეტაპები, პოლიტიკისა, რასაც ახორციელებენ დასავლეთი სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ინგლის-ამერიკის ბლოკის ეს გამთიშველი პოლიტიკა დასრულდა უდღეური ბონის „მთავრობის“ შექმნით და ამავე დროს საოკუპაციო სტატუტის შემოღებით. დასავლეთის სახელმწიფოებმა უაღრესად უხეშად დაარღვიეს პოტსდამის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი, მათ უსირცხვილოდ გათელეს აგრეთვე ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ძალებული იყო მხოლოდ სამი თვის წინათ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე და რომლებშიც ნათქვამია, რომ ოთხი სახელმწიფო „განაგრძობს თავის ღონისძიებებს გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის მიღწევის მიზნით“.

დასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო სტატუტის შემოღება და ბონის „მთავრობის“ შექმნა ააშკარავებს ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ვერაგულ ზრახვებს გამოიყენონ დასავლეთი გერმანია როგორც პლაცდარმი, ხოლო გერმანელი ხალხი როგორც საზარბაზნე ხორცი თავიანთი აგრესიული მიზნებისა და გეგმების განსახორციელებლად.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური წრეები ამზადებდნენ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის ომის გაჩაღებისაკენ ნიმართულ გეგმებს. ამაში იყო ყბადაღებული მიუნხენის პოლიტიკის ძირითადი შინაარსი. ახლა კვლავ დადებულია კავშირი ამერიკულ მონოპოლიებსა და რურის სამრეწველო მაგნატებს შორის. მსოფლიო ბატონობის ინგლისელ-ამერიკელი პრეტენდენტები კვლავ ცდილობენ აღორძინონ გერმანიის აგრესია, გამოიყენონ იგი სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომში, რომელსაც ისინი ამზადებენ.

მაგრამ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთი დანაშაულებრივი თამაშის დროს არ ითვალისწინებენ იმ ძირეულ ძვრებს, რომლებიც მოხდა მთელ მსოფლიოში, აგრეთვე გერმანიაში. იმპერიალისტურ ბანაკს უპირდაპირდება მშვიდობის მძლავრი ფრონტი, დემოკრატიის მძლავრი ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკაში გერმანიის მიმართ ემყარება ამხანაგ სტალინის მითითებებს, რომელმაც ჯერ კიდევ 1942 წელს თქვა, რომ არ შეიძლება ჰიტლერის ხროვა გავაგიგეოთ გერმანელ ხალხთან. „ისტორიის გამოცდილება მოწმობს, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა, — რომ ჰიტლერები მოდიან და მიდიან, ხოლო გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო—რჩება“.

საბჭოთა კავშირი განუხრელად და თანმიმდევრულად იცავს პოტსდამის გადაწყვეტილებებს. პოტსდამის შეთანხმების ძალაში შესვლიდან უკვე პირველ დღეებში აღმოსავლეთ გერმანიაში ნებადართულ იქნა ანტიფაშისტური პარტიების თავისუფალი საქმიანობა. დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის პოლიტიკას, კარტელების ხელისუფლების მოსპობის, ყველა ფაშისტური კერის ლიკვიდაციის პოლიტიკას მოჰყვა გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალების განთავისუფლება და ზრდა, მისი აღორძინება ახალი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის. გერმანიის აღმოსავლეთ ზონაში განხორციელებულია ფართო გარდაქმნანი, გატარებულია მიწის რეფორმა, გერმანელ ხალხს მიეცა შესაძლებლობა დაადგეს დემოკრატიული განვითარების გზას.

საბჭოთა კავშირი არა მარტო ხელს უწყობდა გერმანიის დემოკრატიზაციას, არამედ ყოველმხრივ ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოეწესრიგებინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი. საბჭოთა კავშირი აგრეთვე ყოველთვის მტკიცედ გამოდიოდა გერმანიის დანაწილების წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის შენარჩუნება მშვიდობიანი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩარჩოებში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკას გერმანიის მიმართ მხარი დაუჭირა მშვიდობის ყველა გულწრფელმა მომხრემ, პირველ რიგში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საერთო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია გერმანიის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისაკენ, ნათლად არის გამოხატული საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის 1948 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებებში. ამ თათბირმა გადაჭრით გაიღაშქრა დასავლეთ სახელმწიფოთა გამთიშველი პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვა საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადება პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად იმ ვარაუდით, რომ ყველა სახელმწიფოს მოაკუპირებელი ჯარები გერმანიიდან გაყვანილ იქნან საზავო ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ.

გერმანიაში წარმოშობილმა ფართო სახალხო მოძრაობამ, რასაც მოჰყვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება, ცხადყო თუ საითკენ არის მიმართული გერმანელი ხალხის უმრავლესობის ფიქრი და მისწრაფება. ეს ფიქრი და მისწრაფება მიმართულია მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკისაკენ. გერმანელ ხალხს არ სურს ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა ლანდსკნეხტობა. მას სურს იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი და თავისი ღონისძიებანი მოახმაროს მშვიდობისათვის, მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ მთელი გერმანიის უსწრაფესი გარდაქმნისათვის ბრძოლას. ყოველივე ამას მოწმობს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მანიფესტი, რომელიც გერმანელ ხალხს მოუწოდებს „გაჰკაფოს გზა მშვიდობისაკენ, გერმანიის ერთიანი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობისა და ეროვნული თავისუფლებისაკენ“.

გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებლის არმიის გენერალ ჩუიკოვის განცხადებაში, რომელიც დღეს ქვეყნდება, საბჭოთა მთავრობამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება გერმანელი ხალხის გადაწყვეტილებისადმი, რომელმაც გამოაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, ნათქვამია გენერალ ჩუიკოვის განცხადებაში, რომ „არ შეიძლება კანონიერად არ ვაღიაროთ გერმანიის დემოკრატიული წრეების მისწრაფება თავიანთ ხელში აიღონ გერმანიის ერთიანობის აღდგენა და მისი აღორძინება დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარეობის საფუძვლებზე“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხის შემდგომი გზისათვის. იგი მოასწავებს გერმანიის დემოკრატიზაციისათვის, მისი გათიშვის ლიკვიდაციისათვის და მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ მთელი გერმანიის გარდაქმნისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის გაძლიერებას. ამავე დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, იგი სასტიკ ლახვარს სცემს ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივ ზრახვებს, რომლებიც ოცნებობენ აგრესიის გერმანული კერის აღორძინებაზე, იგი აძლიერებს მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა ფრონტს.

„პრავდის“ 11/X მოწვინავე

## მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
## მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს
## მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლიან მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს მოლდავეთის სსრ 25 წლისთავის დღეს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა მოლდაველი ხალხი პოლიტიკური, ეროვნული და ეკონომიური ჩაგვრისაგან, დაეხმარა მოლდავეთს მოეპოვებინა თავისი სახელმწიფოებრიობა და გაუხსნა მას ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართო გზა. მოკლე ხნის მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა განვითარებული სოციალისტური მრეწველობა და მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული დონე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ფაშისტმა დამპყრობლებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს მოლდავეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და კულტურას. მაგრამ საბჭოთა მოლდავეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხთა დახმარებით, ღირსეულად გადაიტანეს ომის ყველა განსაცდელი და წარმატებით ახორციელებენ რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანებს.

მოლდავეთში აღდგენილია და ახლად აშენდა 600-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. ხელახლა შეიქმნა მსუბუქი მრეწველობა. რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი ფონდები 1948 წელს ერთიორად გადიდდა 1940 წელთან შედარებით. მოლდავეთის მრეწველობა წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს ომისშემდგომი ხუთწლედის საწარმოო გეგმებს.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მიღწეულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. მშრომელ გლეხთა ფართო მასები მტკიცედ დაადგნენ საკოლმეურნეო ცხოვრების გზას. შეიქმნა და მუშაობენ 98 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და 68 საბჭოთა მეურნეობა. გადიდდა ნათესი ფართობი, გაიზარდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა. მოლდავეთის სოფლის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების 1949 წლის გეგმა.

წარმატებით ვითარდება საბჭოთა მოლდავეთის კულტურა და ხელოვნება—ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური. ოქტომბრის რევოლუციამდე მოლდავეთის მოსახლეობის მეტი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა მოლდავეთის სს რესპუბლიკაში მუშაობს 1924 სკოლა, 37 სპეციალური საშუალო და 8 უმაღლესი სასწავლებელი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ბაზა და 14 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის გამომცემლობებმა 11 მილიონი ცალი წიგნი და დიდძალი სახელმძღვანელო გამოუშვეს დედაენაზე. რესპუბლიკაში მუშაობენ მოლდავური და რუსული თეატრები და 1.500-ზე მეტი კლუბი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მოლდაველი ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც დაუღალავად იბრძოლებს მოლდავეთის სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძლიერების განმტკიცებისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

## მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
## მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს
## მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უთვლიან მოძმე მოლდაველ ხალხს მოლდავეთის სს რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავის დღეს.

მოლდაველი ხალხის ისტორია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი რუსი ხალხის ისტორიასთან, თვალნათლივ გვიჩვენებს სოციალისტური წყობილების მძლავრ გარდამქმნელ ძალას.

მოლდავეთის ორივე ნაწილის გაერთიანებამ ერთიან სოციალისტურ რესპუბლიკად 1940 წელს განახორციელა მოლდაველი ხალხის სანუკვარი ოცნება და მოლდავეთის მშრომელებს გადაუშალა ფართო შესაძლებლობანი თავიანთი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღორძინებისათვის.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, მოლდავეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწიეს უმაგალითო აღმავლობას სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომაში მოლდაველმა ხალხმა კვლავ იგრძნო დიდი რუსი ხალხის და საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთა მძლავრი დახმარება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენის საქმეში.

საქართველოს მშრომელები, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალს მოლდავეთის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის თავდადებულ შრომას, რომლებმაც შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების ვადამდე შესრულების საქმეში.

ვუსურვებთ მოძმე საბჭოთა მოლდავეთის მშრომელებს ახალ-ახალ გამარჯვებას კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს საბჭოთა მოლდავეთს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს—მძლავრ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების საყვარელ მამასა და ბელადს დიდ სტალინს!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

## ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი

**გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი, რომელიც მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.**

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომში შედის 1929 წლის აპრილიდან 1930 წლის ივნისამდე დაწერილი ნაწარმოებები.

ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტია აჩაღებს სოციალიზმის საერთო შეტევას მთელ ფრონტზე, რაზმავს მუშათა კლასსა და გლეხობის მშრომელ მასებს სოციალიზმის ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის საბრძოლველად, პირველი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად. ბოლშევიკური პარტია ახორციელებს ერთ-ერთ გადამწყვეტ შემობრუნებას პოლიტიკაში — კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლას. პარტია წყვეტს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარული რევოლუციის უძნელეს ისტორიულ ამოცანას —მილიონობით ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადაყვანას კოლმეურნეობათა გზაზე, სოციალიზმის გზაზე.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები, რომლებიც მეთორმეტე ტომში შევიდნენ, იძლევიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხების ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ დამუშავებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმზე (1929 წ.) წარმოთქმულ სიტყვაში „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)“, რაც ამ ტომში პირველად ქვეყნდება სრულად, ი. ბ. სტალინი იძლევა ამ კლასობრივი ძვრების ანალიზს, რომლებიც მოხდა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში, აღნიშნავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გაძლიერებულ შეტევას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და ამასთან დაკავშირებულ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ი. ბ. სტალინი ცხადყოფს კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის რყევას, კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციური აღმავლობის ელემენტების ზრდას და ასაბუთებს კომპარტიებში მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას.

ი. ბ. სტალინი ამხილებს ბუხარინის ჯგუფის ანტიპარტიულ ფრაქციულ საქმიანობას, მის თვალთმაქცობას, მის ფარულ მოლაპარაკებას ტროცკისტებთან პარტიის წინააღმდეგ ბლოკის მოწყობის მიზნით.

ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს ამ პერიოდში, ამხილებს მემარჯვენე კაპიტულანტებს, როგორც ლენინიზმის მტრებს, როგორც კულაკობის აგენტურას, ააშკარავებს სოციალიზმში კულაკების მშვიდობიანი შეზრდის მემარჯვენე-ოპორტუნისტული „თეორიის“ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ, ანტირევოლუციურ არსს. ბუხარინული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში ი. ბ. სტალინი ავითარებს ლენინურ დებულებას პროლეტარიატის გაფფორებული კლასობრივი ბრძოლის გზით ექსპლოატატორული კლასების მოსპობის შესახებ. ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს, რომ მემარჯვენე კაპიტულანტების ოპორტუნისტული ხაზი კლასობრივი ბრძოლის საკითხებში დაკავშირებულია ბუხარინის ანტილენინურ შეცდომებთან სახელმწიფოს თეორიის საკითხებში.

მემარჯვენე ოპორტუნისტებთან ბრძოლაში ი. ბ. სტალინი იცავს და ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სახელმწიფოზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე.

მეთორმეტე ტომში დაბეჭდილია სტატიები „შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა“, „დიადი გარდატეხის წელი“, სიტყვა აგრარიკოს-მარქსისტთა საკავშირო კონფერენციაზე „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“, სტატიები „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის“, „თავბრუდახვევა წარმატებებისაგ.“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“.

სტატიაში „შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა“ ი. ბ. სტალინი სოციალისტურ შეჯიბრებას განსაზღვრავს, როგორც სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტურ მეთოდს, როგორც ბერკეტს, რომლის საშუალებითაც მშრომელები მოწოდებული არიან გადაიყვანონ ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება სოციალიზმის ბაზაზე.

სტატიაში „დიადი გარდატეხის წელი“ ი. ბ. სტალინი 1929 წელს აფასებს, როგორც დიად მიღწევათა წელს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე: შრომის ნაყოფიერების დარგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშენებლობაში. აღნიშნავს რა საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებებს, ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობებიხაკენ დაიძრა გლეხობის ძირითადი მასა—საშუალო გლეხობა, რომ სოციალიზმის გზაზე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადასვლასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში იხსნა კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი წყაროები.

3. ი. ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით ი. ბ. სტალინი იმუშავებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორიას და სახავს მისი განხორციელების პრაქტიკულ გზებს.

სიტყვაში „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინი ამხილებს სოციალისტურ მშენებლობაში „წონასწორობის“, „თვითდინების“, წვრილგლეხური მეურნეობის „სიმტკიცის“ ბურჟუაზიულ და მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორიებს, ცხადყოფს მიწათმოქმედებაში მსხვილი, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობებს. ი. ბ. სტალინი კოლმეურნეობათა ბუნებას განსაზღვრავს, როგორც მეურნეობის სოციალიტურ ფორმას, და ასაბუთებს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ მობრუნებას.

ნაწარმოებებში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ და სხვებში ი. ბ. სტალინი ამხილებს საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიული ხაზის „მემარცხენე“ დამახინჯებებს, სახავს მათი გამოსწორების გზებს და აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეტაპზე, საკოლმეურნეო მოძრაობაში ძირითადი და მთავარი რგოლია სასოფლო-სამეურნეო არტელი.

მეთორმეტე ტომში იბეჭდება „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობისადმი“, რომელშიც ი. ბ. სტალინი იძლევა მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ღრმა ანალიზს, ააშკარავებს კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავებას, ახასიათებს რა სსრ კავშირისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობას, ი. ბ. სტალინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც მშვიდობის თანმიმდევრულ პოლიტიკას. ი. ბ. სტალინი ცხადყოფს სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის მზარდ აღმავლობას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე, განსაზღვრავს მთელ ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის არსსა და ამოცანებს, რაზმავს რა პარტიას ეროვნულ საკითხში გადახრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს, რომ სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი არის ეროვნული კულტურების, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურების აყვავების პერიოდი.

მეთორმეტე ტომში შევიდა აგრეთვე ი. ბ. სტალინის სტატიები „საჭირო შესწორება“, „პასუხი ამხანაგ სვერდლოველებს“ (ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელებს), ი. ბ. სტალინის მიერ კრეისერ „ჩერვონა უკრაინის“ სახომალდო ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერი, მისალმება უკრაინის კომკავშირისადმი მისი ათი წლისთავის დღეს, შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის გაზეთ „ტრეკოგის“ რედაქციის მისამართით გაგზავნილი მისალმება ამ არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისადმი, მისალმებანი სამრეწველო აკადემიის მსმენელთა პირველი გამოშვებისადმი, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კოლექტივისადმი — ქარხნის მშენებლობის ვადამდე დამთავრებასთან დაკავშირებით, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშებისადმი — სსრ კავშირში პირველი სატრაქტორო ქარხნის ამუშავების დღეს, ი. ბ. სტალინის პასუხი ყველა ორგანიზაციისა და ამხანაგებისადმი, რომლებმაც მას მისალმება გაუგზავნეს დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ამ ტომში პირველად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის წერილები ფელიქს კონისადმი, ა. მ. გორკის, ამხ. ბეზიმენსკისა და რაფაილისადმი.

(საკედისი).

## სილნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ყურძენი

სილნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ყურძნის დამზადების გეგმა 105,8 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) სილნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ალავერდაშვილი და მშრომელთა დეპუტატების სილნაღის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაზიაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ყურძენი.

## მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.500 ცენტნერი ყურძენი

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ყურძნის დამზადების გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილით საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. ხუჯაძე და მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯავახიშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.500 ცენტნერი ყურძენი.

# სახალხო დემოკრატიის გამარჯვება ჩინეთში

**პასუხი ე. წიქარიძის (აბარა) და ვ. ჯლარკავას (ქუთაისი) შეკითხვებზე**

იაპონიასთან ომის უკანასკნელ წლებში გომინდანის მთავრობამ ფაქტიურად შეწყვიტა საომარი მოქმედება იაპონიის წინააღმდეგ. ამით ჩან კაი-ში მიზნად ისახავდა ადამიანთა და იარაღის რეზერვების შექმნას კომუნისტებისა და სხვა ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამას ჩან კაი-ში არ მალავდა: გომინდანის მეექვსე კონგრესზე 1945 წლის გაზაფხულზე ჩან კაი-შიმ განაცხადა: „ჩვენი ცენტრალური ამოცანა დღეს კომუნისტების განადგურება არის, რადგან იაპონია ჩვენი გარეშე მტერია, ხოლო კომპარტია შინაური. ჩვენი ამოცანა შესრულებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გავანადგურებთ კომუნისტურ პარტიასო“. ჩან კაი-ში იაპონელებს სთვლიდა კანის, ხოლო კომუნისტებს — გულის ავადმყოფობად.

გომინდანის ხროვამ თავისი ეს გეგმები განსაკუთრებით გამოამჟღავნა 1946 წლის ივლისში, როცა ამერიკის იმპერიალისტების დახმარებით დაარღვია შეთანხმება. დაზავების შესახებ, გაილაშქრა პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს რეზოლუციის წინააღმდეგ და გააჩაღა სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომის ვითარებაში მალე გამოირკვა, რომ ჩინეთის ხალხი დგას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებზე და მხარს უჭერს სახალხო-დემოკრატიულ მოძრაობას და არა გომინდანურ რეაქციას. განთავისუფლებული დემოკრატიული რაიონების წინააღმდეგ გომინდანის მთავრობამ მიმართა ამერიკის იარაღი და ტექნიკა, კარგად შეიარაღებული ოთხმილიონიანი არმია, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავდა ამერიკის სამხედრო მრჩევლები. იმ დროს სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში ირიცხებოდა 1.200 ათასი კაცი. იგი გაცილებით უფრო ცუდად იყო შეიარაღებული, ვიდრე გომინდანის არმია.

ჩინეთის დემოკრატიის მოსპობაზე გომინდანთან ერთად ოცნებობდნენ ამერიკელი იმპერიალისტები. ისინი ხედავდნენ ჩინეთში უსაზღვრო სივრცეს კოლონიური ექსპანსიისათვის და დიდი მოგებისათვის. ამერიკელი გენერლები ჩინეთს უყურებდნენ როგორც სტრატეგიულ პლაცდარმს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უკვე იმ დროს ჩინეთი ჩარიცხული იყო ამერიკელი იმპერიალისტების მიერ დაპროექტებულ „აღმოსავლეთ აზიის ბლოკის“ შემადგენლობაში.

ამერიკის პრესის ცნობით, გომინდანური ჩინეთისადმი ამერიკის საერთო დახმარება გამოიხატა ექვსი მილიარდი დოლარით, რაც სამჯერ აღემატება იაპონიასთან ომის განმავლობაში ჩინეთისათვის ამერიკის მიერ გაწეულ დახმარებას. მაგრამ ვერც გომინდანის არმიის მნიშვნელოვანმა რიცხობრივმა უპირატესობამ, ვერც ამერიკის რეაქციის ყოველდღიურმა დახმარებამ ვერ შეაჩერეს სახალხო-დემოკრატიული არმიების წინსვლა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის საქმეებში აშკარა ჩარევის გამო 1947 წლის 10 მარტს საბჭოთა მთავრობამ ამერიკისა და ინგლისის მთავრობებს მოაგონა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 1945 წლის დეკემბრის მოსკოვის სესიის დადგენილება, რომელშიც აღიარებული იყო: ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელობით ჩინეთის გაერთიანება და დემოკრატიზაცია; ჩინეთის ხელისუფლების ყველა ორგანოებში დემოკრატიული ელემენტების მიზიდვა და ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის შეწყვეტა. მაგრამ როგორც ინგლის-ამერიკის რეაქციულმა პრესამ, ისე მისი შთაგონებით ჩინეთის რეაქციამ აურზაური ატეხა, ვითომდა საკითხის ასე დასმით თვით საბჭოთა მთავრობა ლამობდა ჩინეთის შინაური საქმეებში ჩარევას. მიუხედავად საბჭოთა მთავრობის გაფრთხილებისა, ამერიკის იმპერიალიზმი კვლავ განაგრძობდა დახმარებას ჩინეთის რეაქციისადმი.

მიუხედავად გომინდანისადმი ამერიკის დახმარებისა, 1947 წლის გაზაფხულიდან მდგომარეობა შეიცვალა დემოკრატიული ძალების სასარგებლოდ.

1949 წლის იანვარში ფრონტებზე მოხდარმა ამბებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გომინდანის მმართველი წრეები და მათი მფარველნი — ამერიკელი იმპერიალისტები.

ჩან კაი-შიმ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება გადასცა ვიცე-პრეზიდენტ ლი ცენ-ყენს, რომელმაც თვალთმაქცურად კომუნისტებთან „სამშვიდობო“ მოლაპარაკება დაიწყო. კომპარტია დათანხმდა მოლაპარაკებაზე და წამოაყენა შემდეგი პირობები: 1) სამხედრო დამნაშავეების დასჯა, 2) ფიქციური კონსტიტუციის გაუქმება, 3) გომინდანის მიერ დაწესებული კანონიერების ტრადიციული ინსტიტუტების გაუქმება, 4) ყველა რეაქციული არმიების გარდაქმნა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, 5) ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია, 6) აგრარული სისტემის რეფორმა, 7) გამცემლური ხელშეკრულებების გაუქმება, 8) დემოკრატიული კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევა, მასში რეაქციული ელემენტების მონაწილეობის გარეშე.

მოლაპარაკება დაიწყო ბეიპინში 29 მარტს და ჩაიშალა 20 აპრილს, ვინაიღან გომინდანმა არ დაადასტურა წინასწარ შეთანხმებული მუხლები. როგორც შემდეგ გამოირკვა, გომინდანი დათანხმდა მოლაპარაკებას იმ მიზნით, რომ დრო მოეგო და ჯარები გადაეჯგუფებინა ახალი ოპერაციების დასაწყებად.

გომინდანის მიერ მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, 21 აპრილს, დემოკრატიულმა არმიებმა განაახლეს საომარი მოქმედება, გადავიდნენ მდინარე იანძის მარჯვენა მხარეზე და ცხარე ბრძოლის შემდეგ 23 აპრილს დაიკავეს გომინდანელთა დედაქალაქი ნანკინი. 27 მაისს დემოკრატიულმა არმიებმა დაიკავეს ქალაქი შანხაი. 2 ივნისს გაათავისუფლეს ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური ცინდაო. მას შემდეგ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. ამჟამად ჩინელი ხალხის დიდი უმრავლესობა უკვე თავისუფალია იმპერიალისტური და ფეოდალური ჩაგვრისაგან. მთლიანად განთავისუფლებულია ჩრდილოეთი და ცენტრალური ჩინეთი, სამხრეთ ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და სახალხო-განმათავისუფლებელი არმია უახლოვდება კანტონს — უკანასკნელ დიდ ნავსადგურს, რომელიც ჯერ კიდევ გომინდანელთა ხელშია. 1949 წლის 1 ივლისის ცნობებით, განთავისუფლებულ ტერიტორიაზე იმყოფება ქვეყნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამრეწველო და ეკონომიური ცენტრები, რკინიგზების 80 პროცენტი, სამრეწველო საწარმოების 75 პროცენტი.

უკანასკნელ დრომდე ყველა განთავისუფლებული ტერიტორიებისათვის ერთიანი ცენტრალური მთავრობა არ არსებობდა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობდა განთავისუფლებულ ტერიტორიებზე სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს. ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 15-დან 19 ივნისამდე პეკინში მიმდინარეობდა ფართო სახალხო სათათბიროს—ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოსაწვევი მოსამზადებელი კომიტეტის სესია.

პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მიზანი იყო შეექმნა ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ამ მიზნით შეიქმნა მოსამზადებელი კომიტეტი 134 წევრის შემადგენლობით, რომელშიც შევიდნენ ჩინეთის კომპარტიის, დემოკრატიული პარტიების და ჯგუფების წარმომადგენლები, აგრეთვე გომინდანის დემოკრატიული მოღვაწენი, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩინელთა წარმომადგენელნი და სხვ., ე. ი. ყველა ისინი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინადადებას ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევის შესახებ.

მოსამზადებელმა კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი 21 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მაო ძე-დუნი.

პრეზიდიუმმა შეასრულა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა, რის შედეგადაც პეკინში 21 სექტემბერს გაიხსნა სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა მოსამზადებელი კომიტეტის მოხსენება. მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები კონფერენციის საორგანიზაციო სტატუტის პროექტის შესახებ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საორგანიზაციო სტატუტის პროექტის შესახებ და სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის ზოგადი პროგრამის პროექტის შესახებ.

ცენტრალური მთავრობის საორგანიზაციო სტატუტში ნათქვამია, რომ ახალი სახელმწიფო იქნება „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა“.

29 სექტემბერს ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ ერთხმად მიიღო „ჩინეთის სახალხო საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა“.

პროგრამა განსაზღვრავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხასიათს და აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურას, სამხედრო სისტემას, პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურისა და განათლების დარგს, ეროვნულ პოლიტიკას და საგარეო პოლიტიკას.

პროგრამაში ნათქვამია: „ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი ომისა და სახალხო რევოლუციის დიადი გამარჯვებანი ბოლოს უღებენ იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის ბატონობის პერიოდს. ...ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მთელი ჩინეთის ხალხის ნების გამომხატველია, აცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას და აწყობს თავის სახალხო ცენტრალურ მთავრობას. ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ ერთსულოვნად აღიარა, რომ ახალი დემოკრატია, სახელდობრ სახალხო დემოკრატია, იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული მშენებლობის პოლიტიკური საფუძველი“.

პროგრამაში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განმათავისუფლებელ ომს საბოლოოდ გამარჯვებამდე მიიყვანს. კონფერენციამ მიიღო ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ეროვნული კომიტეტის და ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს არჩევნების დებულება.

თანახმად „საერთო პროგრამისა“ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, შედგება თავმჯდომარის, მისი ექვსი მოადგილისა და 56 წევრისაგან.

„საერთო პროგრამის“ საფუძველზე შედგენილ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მთელი ჩინელი ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის თავმჯდომარეობით.

მაო ძე-დუნმა 1 ოქტომბერს გამოაქვეყნა „ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის დეკლარაცია“, რომელშიაც ნათქვამია: „...ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭომ გადაწყვიტა: განეცხადოს ყველა სხვა ქვეყნის მთავრობებს, რომ ეს მთავრობა ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ ხალხს წარმოადგენს“.

1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. 2 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩინეთის ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და კანტონის გომინდანურ მთავრობასთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ჩინეთის ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, კორეის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მთავრობებმა

ჩინეთის ხალხის ეს გამარჯვება მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების გამარჯვებაა. ის ამაგრებს მშვიდობის მომხრეთა ბანაკს, აღაფრთოვანებს კოლონიურ აღმოსავლეთს თავისი განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმისა და ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გამარჯვებამ ჩინეთი გამოიყვანა აღმოსავლეთში იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში.

ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული ცენტრალური მთავრობა უკვე შეუდგა მუშაობას და იღებს სათანადო ზომებს, რათა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნასთან ერთად მოკლე ხანში დაამთავროს ქვეყნის გაწმენდა გომინდანელი რეაქციონერებისაგან.

გომინდანის გაკოტრებულ ხელმძღვანელობას წინანდებურად დახმარებას უწევენ ამერიკის რეაქციული მმართველი წრეები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე გომინდანური ჩინეთის „წარმომადგენელმა“ გომინდანის გაკოტრებასა და დემოკრატიის გამარჯვებაში ბრალი დასდო საბჭოთა მთავრობას, თითქოს ის ეხმარებოდა ჩინეთის დემოკრატიულ ძალებს. მიუხედავად საბჭოთა დელეგაციის პროტესტისა, ინგლის-ამერიკის ბლოკის და მისი სატელიტების ხმების მეშვეობით 29 სექტემბერს „ჩინეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საფრთხის შესახებ“ საკითხი შეტანილ იქნა ასამბლეის დღის წესრიგში. ამის პასუხად იმავე დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინხუას სააგენტომ გამოაქვეყნა „ჩინელი ხალხის საზეიმო განცხადება მთელი მსოფლიოსადმი“, სადაც აღნიშნულია, რომ გაკოტრებული გომინდანის ლიდერმა ჩან კაი-შიმ, რომელიც კვლავ დაუბრუნდა პრეზიდენტის მოვალეობის ასრულებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი წარმომადგენლის ძიანტინ-ფუს მეშვეობით სცადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის ტრიბუნა გამოეყენებინა ცილისწამებისათვის და ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი და ცილი დასწამოს როგორც ჩინეთის ხალხს, ისე საბჭოთა კავშირს, „რომ მან მოითხოვა რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეას „განეხილა“ ჩინეთში შექმნილი ვითარება და ამრიგად მიეწვია იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩასარევად. ჩინეთის ხალხი ამას ვერ მოითმენს“. ჩინელი ხალხი ამ განცხადებით აგრეთვე მოითხოვს, რათა გომინდანური ბანდის წარმომადგენლებს დაუყოვნებლივ ჩამოერთვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში წარმომადგენლობის უფლებანი.

გაერთიანებული ერების ასამბლეაზე „ჩინეთის საკითხის“ დასმა მიზნად ისახავს დემოკრატიული ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, მაგრამ ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები ამას ვერ მიაღწევენ.

მრავალი წლების განმავლობაში ტანჯულმა ჩინეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გმირობა მოიპოვეს—დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული წესწყობილება. რეაქციის ვერავითარ შემოტევას არ შეუძლია წაართვას ჩინელ ხალხს ეს უდიდესი მონაპოვარი.

**დ. ენუქიძე**

# ალბანელ გლეხთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სტუმრად ჩამოწულია ალბანელ გლეხთა დელეგაციის ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ალბანეთის მიწათმოქმედებისა და ტყეთა მინისტრი ბ-ნი გაკო ტაშკო.

დასავლეთ საქართველოდან დაბრუნების შემდეგ დელეგაციამ მოიარა კახეთის რაიონები, სადაც გაეცნო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის — მევენახეობის, მეთამბაქოობის, მემინდვრეობის — განვითარებას.

გურჯაანის რაიონში სტუმრებმა დათვალიერეს ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობა. დელეგაციის წევრები ესაუბრნენ უხვი მოსავლის ოსტატებს — სოციალისტური შრომის გმირებს.

შემდეგ დელეგაცია ეწვია მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას „მუკუზანს“, გაეცნო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ველისციხის სკოლის მუშაობას, ესტუმრა სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“.

დელეგაცია დიდი ყურადღებით გაეცნო ლაგოდეხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობას. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სტუმრებში მტს-ის რადიოკავშირმა მინდვრად მომუშავე სატრაქტორო ბრიგადებთან, რაც აქ ფართოდაა დანერგილი.

მეთამბაქოე კოლმეურნეობა „შრომაში“ დელეგაციამ დაწვრილებით დათვალიერა თამბაქოს პლანტაციები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ე. სამარგველიანმა სტუმრებს უამბო, თუ როგორ არის მოწყობილი კოლმეურნეთა შრომა, როგორ იბრძვიან ისინი თამბაქოს უხვი მოსავლის მოსაწევად.

კახეთიდან დელეგაცია დაბრუნდა თბილისს, სადაც კვლავ ეცნობა ქალაქის ღირსშესანიშნაობასა და ისტორიულ ადგილებს. (საქდესი).

# კლუბის მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

ტყიბულის ცენტრალურ მუშათა კლუბს სამ თვეზე მეტია გამგე არა ჰყავს. თვითმოქმედი წრეები დიდი ხანია არ მუშაობენ, ხოლო მათი ხელმძღვანელი თ. რუსელი სრულ უდარდელობას იჩენს. სასულე ორკესტრი და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები კლუბის საკუთარია ჩაკეტილი.

მუშათა კლუბის მთელი მუშაობა კინოსურათების ჩვენებითა და სხვა რაიონებიდან ჩამოსული თვითმოქმედი ბრიგადების გასტროლებით ამოწურება.

კლუბს აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც საღამოს 8 საათამდე მუშაობს, ხოლო მაშინ, როცა მოსაცდელ დარბაზში მრავალი მაყურებელი იყრის თავს, იგი დაკეტილია. მეშახტეებს თითქმის სრულებით არ შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის ჟურნალ-გაზეთებითა და მხატვრული ლიტერატურით.

ქვანახშირის მრეწველობის პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომმა უნდა მიიღონ ზომები კლუბის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

**ვ. ცირეკიძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# გერმანიაში საბჭოთა სამხედრო მთავარმართებლის არმიის გენერალ ბ. ჩუიკოვის განცხადება

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შეყვანისა და ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ გერმანიის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

საბჭოთა მთავრობამ დამავალა შემდეგი განცხადება გავაკეთო იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც 1949 წლის 7 ოქტომბერს გერმანიის სახალხო საბჭომ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შეყვანისა და ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ.

1 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის პოზიცია იმ მდგომარეობის მიმართ, რომელიც ამჟამად გერმანიაში შეიქმნა ამა წლის 20 სექტემბერს ქალაქ ბონში (გერმანიის დასავლეთი ნაწილი) სეპარატული მთავრობის შედგენასთან დაკავშირებით. ამასთან საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ბონის სეპარატული მთავრობის შექმნა უხეში დარღვევაა პოტსდამის გადაწყვეტილებებისა, რომელთა თანახმადაც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ვალდებულება იკისრეს გერმანია მიიჩნიონ მთლიან ერთეულად და ხელი შეუწყონ მის გარდაქმნას დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ, აგრეთვე ვალდებულება იკისრეს დაედოთ გერმანიასთან საბოლოო ხელშეკრულება.

ოთხი სახელმწიფოს პოტსდამის გადაწყვეტილებათა და სხვა ერთობლივ გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ცდილობდა თავიდან ყოფილიყო აცილებული გერმანიის გათიშვა, მიმართავდა რა თავის ღონისძიებებს ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისაკენ, გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის განხორციელებისაკენ და გერმანიის მიერ იმ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისაკენ, რომლებიც მას ოთხი სახელმწიფოს პოტსდამის შეთანხმებით დაეკისრა.

ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის განხორციელება, რაც ემყარება გერმანელი ხალხის მთელი დემოკრატიული ძალების აქტიურ მონაწილეობას, საჭიროა, რათა არ იქნას დაშვებული აღდგენა გერმანიისა, როგორც აგრესიული სახელმწიფოსი, რადგან ამით დაინტერესებულია ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი და რაც შეესაბამება თვით გერმანელი ხალხის ინტერესებს. რასაკვირველია, გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის ამოცანებს არ შეესაბამება ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც გერმანიის თუნდაც ერთი ნაწილი ხელში ჩაუვარდეთ ჰიტლერული რეჟიმის გუშინდელ სულისჩამდგმელებს. ყველა ხედავს, რომ ეს ადამიანები არ მალავენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას მეზობელი სახელმწიფოებისა და თვით დემოკრატიული გერმანიისადმი, და რომ ისინი გამსჭვალული არიან რევანშისადმი აშკარა მისწრაფებით, ამასთან ამჟამად უცხოელთა აგრესიული წრეების პირდაპირ იარაღს წარმოადგენენ გერმანიის დასავლეთ ნაწილში.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანელი ხალხი იპოვის გერმანიის ამჟამად დარღვეული ერთიანობის აღდგენის გზებს და განახორციელებს გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობას დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძვლებზე. გერმანიის გათიშვა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის უაღრესად სანუკვარ მისწრაფებებს.

გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზაზე ახლა შექმნილია მთელი რიგი დაბრკოლებანი. მაგალითად, ვინ არ იცის, რომ ბონში შექმნილი მარიონეტული „მთავრობა“ ვერ შეუწყობს ხელს ერთიანი დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანიის აღდგენის საქმეს? პირიქით, ბონის მთავრობის შექმნა მიმართულია გერმანიის გათიშვის გაღრმავებისაკენ.

ამ პირობებში არ შეიძლება კანონიერად არ ვაღიაროთ გერმანიის დემოკრატიული წრეების მისწრაფება თვითონ იკისრონ გერმანიის ერთიანობის აღდგენა და დემოკრატიზმისა და მშვიდობისმოყვარეობის საფუძვლებზე მისი აღორძინება. სწორედ ეს მიაჩნია საბჭოთა მთავრობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შეყვანისა და ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ გერმანიის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებათა დედააზრად.

ამასთან საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს, რომ დროებითი მთავრობა იდგება პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა პოზიციებზე და შეასრულებს ოთხი სახელმწიფოს მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

გერმანიის სახალხო საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას გადასცეს მმართველობის ფუნქციები, რომლებიც დღემდე საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციას ეკუთვნოდა.

გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ნაცვლად შეიქმნება საბჭოთა საკონტროლო კომისია, რომლის ამოცანა იქნება კონტროლი გაუწიოს გერმანიის მიმართ ოთხი სახელმწიფოს პოტსდამის და სხვა ერთობლივ გადაწყვეტილებათა შესრულება. (საკდესი).

# რთველია ამბროლაურის რაიონში

როგორც იქნა გამოიდარა, გზებზე ტალახი ჩახმა და ვაზებმა მტევნები მზეს ჩასაშაქრებლად მიუშვირეს. თაფლისთვე ჩადგა ვენახებში სრულუფლებიანად და უკვე აჭრიალდნენ გოდრებით, ჩაჭრილებითა და კოდებით ღატვირთული რაჭული ურმები სადმელის, ძირაგეულის, ხვანჭკარის, ტოლის, ბუგეულის და სხვა ვენახიანი სოფლების შარა გზებზე.

თეთრი ყურძნის კრეფაა გაჩაღებული ვენახებში. ბევრ კოლმეურნეობაში შავი ყურძნის კრეფასაც შეუდგნენ. ხარობს კოლმეურნეთა გული ყურძნის უხვი მოსავლით. 50-60 ცენტნერი ყურძენი დიდ მოსავლად აღარ ითვლება ახლა ხვანჭკარულის სამშობლოში.

გასულ ზამთარში ამბროლაურის რაიონში მკაცრი ყინვები იყო. ჩქარი და დაუდეგარი რიორიც კი ისე გაბატონებულიყო ყინვით, რომ ყველგან შეიძლებოდა მდინარეზე უშიშრად გადასვლა. ყინვებმა ნაწილობრივ დააზიანა ვენახები. მაგრამ მევენახე კოლმეურნეებმა წელს ვენახს განსაკუთრებული სიბეჯითით მოუარეს, უპატრონეს და გადარჩენილმა ვაზებმა გაწეული შრომა ერთიათად აანაზღაურეს.

რთველია ახლა ამბროლაურის რაიონში, სიმინდის ყანებიდან ხალხის სიხარულმა ვენახებში გადაინაცვლა, თუმცა მომდურავნი არც სიმინდის ყანებს დარჩენიან. ზამთრის დიდ და მოულოდნელ ყინვებს, ასევე დიდი და მოულოდნელი გვალვა მოჰყვა ზაფხულში, და სიმინდის უხვი მოსავლის იმედი ნაკლები იყო, მაგრამ ბოლო ხანებში მოსულმა წვიმებმა ღეროებზე ტაროები დაასრულეს, ტაროზე მარცვალი დაამსხვილეს და სიმინდიც შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიორად მეტი მოიწიეს, განსაკუთრებით ქალალი ზონის სოფლებში.

მარცვლეულის დიდი მოსავლით ამბროლაურის რაიონი მართალია რესპუბლიკის სხვა რაიონებს ვერ „შეედრება, ადგილობრივი მოსავლით მთელი ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ ამბროლაურელებს გადაწყვეტილი აქვთ მიუხედავად ბუნების სიჯიუტისა მაინც მოახერხონ იმდენი მოსავლის მოწევა, რომ სხვა რაიონების დახმარება არ დასჭირდეთ. ამ ამოცანას ისინი თანდათანობით და წარმატებით ასრულებენ.

ერთი ახალი და მეტად საინტერესო რეზერვი გამონახეს ამ რაიონში მოსავლის მიღების გასადიდებლად. ამ რეზერვს წარმოადგენს ღომის კულტურა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა პლენუმის ყუოადღება შეაჩერა ღომის კულტურის შემდგომი გაფართოების ხელსაყრელობის საკითხზე.

ღომის კულტურა ამბროლაურის რაიონში ძველთაგანვე ცნობილი და პოპულარული იყო. ახლაც იქ მთელ რიგ სოფლებში, მაგალითად, თხმორში, ტბეთში, პატარა ონში კოლმეურნეობები სისტემატურად სთესენ ღომს და ამ ადგილებისათვის შედარებით დიდ მოსავალსაც იღებენ. ღომს აქ სთესენ ყველაზე მწირ ადგილზე, სადაც არც ხორბალი, არც სიმინდი და არც სხვა კულტურა არ იძლევა ცოტად თუ ბევრად საგრძნობ მოსავალს.

ამჟამად აქ ამუშავებენ ღონისძიებებს ღომის ნათესების კიდევ უფრო გასაფართოებლად. დასახელებულ სამ სოფელში ამჟამად ღომი აღებულია 13,5 ჰექტარზე. მოსავლიანობამ წელს საშუალოდ ჰექტარზე 8 ცენტნერს მიაღწია, ხოლო პატარა ონში ჰექტარზე საშუალოდ 12 ცენტნერი აიღეს.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ამხ. ო. ბოჭორიშვილმა (სოფელი თხმორი, კოლმეურნეობა „წინსვლა“), ს. ჭოხონელიძემ (სოფელი ტბეთი, კოლმეურნეობა „განთიადი“) და ნ. დვალმა (სოფელი პატარა ონი, კოლმეურნეობა „წინსვლა“) განაცხადეს, რომ ისინი ღომს სთესენ ისეთ მწირ ადგილებზე, სადაც სხვა არაფერი ხარობს, და თუ ღომს არ დათესენ, მაშინ ეს ადგილები უნდა გაცდეს.

რაიონის მთავარმა აგრონომმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ბაკურაძემ შეისწავლა ამ რაიონში ღომის კულტურის შემდგომი განვითარების საქმე და გამოარკვია, რომ ბევრად ხელსაყრელი იქნება მომავალი წლიდან მეტი ფართობები გამოყონ ღომისათვის. ეს ხელსაყრელი იქნება იმიტომაც, რომ, ჯერ-ერთი, ღომის თესლი მცირე რაოდენობითაა საჭირო (ჰექტარზე 10-12 კილოგრამი, მაშინ როდესაც სიმინდის თესლი 40-45 კილოგრამია საჭირო, ქერისა—250 კილოგრამამდე და ა. შ.). ამავე დროს ღომი შემოდის ყველაზე თავისუფალ დროს, როდესაც პური აღებულია, ხოლო სიმინდის აღებამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი.

მომავალი გაზაფხულიდან გადაწყვეტილი აქვთ, ღომისათვის ახალი ფართობების გამოყოფის გარდა (უმთავრესად მაღალმთიან სოფლებში), ჩაატარონ ცდები ჯიშთა გამოცდის რაიონულ ნაკვეთზე და საბოლოოდ დაადგინონ, თუ რა მეტ მოსავალს მოგვცემს როგორც დაბალი, ისე მაღალი ზონის ადგილებში — ხორბალი, ღომი თუ ფეტვი.

მაგრამ ახლა რთველია მთავარი. კარგ ამინდში არავინ ცდება, დიდი და პატარა ყველა ვენახშია გასული, ყურძენსა კრეფენ და კოლმეურნეობებიდან განუწყ

# უკეთ მოვამარაგოთ მოსახლეობა ელექტროენერგიით

დღითიდღე იცვლის სახეს თბილისის თვითეული უბანი. განსაკუთრებით მშვენდება და ლამაზდება ქალაქის განაპირა უბნები — ვაკე და საბურთალო. პატარა ქოხმახების ნაცვლად ამ უბნებში აშენდა და შენდება არქიტექტორულად კარგად გაფორმებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და სასწავლებელთა კორპუსები, მოედნები და პარკები, ლენინისა და მარის ქუჩები დედაქალაქის ულამაზესი მაგისტრალებია. მაღლე ქალაქს დაამშვენებს მელიქიშვილის რეკონსტრუირებული ქუჩა.

დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის ძირითადი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში წარმოიშვა და განვითარდა. რაიონის მოსახლეობის ჭარბი დასახლება და მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება ჩვენგან, ქალაქის ელექტრომეურნეობის მუშაკებისაგან მოითხოვს რიტმულ და შეუფერხებელ მუშაობას. ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის პარტიულ კონფერენციაზე მკაფიოდ მოხაზა ჩვენი ამოცანები: „ელექტროსადგურების ახალი სიმძლავრეების ამუშავებასთან დაკავშირებით ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უფრო გავაუმჯობესოთ თბილისის მომარაგება ელექტროენერგიით, ამიტომ აუცილებელია გაფართოვდეს მუშაობა ელექტრომეურნეობის განვითარებისათვის“.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის ელექტრომეურნეობის მოწესრიგებისათვის. სამამულო ომის წინა წლებთან შედარებით რაიონში ქვესადგურების რიცხვი 37 პროცენტით გადიდდა, ტრანსფორმატორების სიმძლავრე—91 პროცენტით. 21,6 პროცენტით გაიზარდა დაბალი ძაბვის განმანაწილებელი ქსელის სიგრძე. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ელექტროქსელის გამტარუნარიანობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებას.

როგორც ცნობილია, რაიონის გარეუბნების უმეტესი ნაწილი ახალშენებას წარმოადგენს, სადაც უკანასკნელ დრომდე თითქმის არ გვქონდა ელექტროგანმანაწილებელი ქსელი და ქვესადგურები. წელს დიდი მუშაობა ჩატარდა და ტარდება განაპირა უბნების ელექტროფიკაციისათვის. საბურთალოში ზემო ვეძინის ქუჩის მახლობლად აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სატრანსფორმატორო ბუდე და ოთხნახევარი კილომეტრი სიგრძის დაბალი ძაბვის განმანაწილებელი ქსელი, რის შედეგად ზოვრეთის, ლეგვის, ვიიპურის, ოდესისა და რაიონის ქუჩების მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

დოლიძის, ლიხაურის, ტეხურის, ბაკურიანის, ნატახტარის, ქარელის, პანკისის და ხილიანის ქუჩებზე მოკლე ხანში დამთავრდება ელექტროქსელის მშენებლობა სამი კილომეტრის მანძილზე, რის შემდეგ აღნიშნულ ქუჩებზე მცხოვრებლებს საშუალება მიეცემათ მიიღონ ელექტროენერგია.

გოგებაშვილის, ბარნოვისა და ნაფარეულის ქუჩებზე აგებული და დამონტაჟებულია სამი სატრანსფორმატორო ბუდე, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე კვარტალში. გარდა ამისა, ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა და მეოთხე კვარტალში ამუშავდება ექვსი ახალი სატრანსფორმატორო ბუდე დოლიძის, პარტიზანების, მარტის, თარხნიშვილის, ლენინისა და ზოოტექნიკურ ქუჩებზე, წლის ბოლომდე განხორციელდება ზემო ვაკის უბნისა (სემიონოვის უბანი) და მცხეთის ქუჩაზე ელექტროქსელის რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება. ასევე დასახულია ორი კილომეტრი ახალი ქსელის შენებლობა იპოდრომის ქუჩასა და წყნეთის გზატკეცილზე.

რაიონის ელექტრომეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსხვილი საწარმოო ერთეულების მიერ საკუთარი სატრანსფორმატორო ბუდეების მშენებლობის საკითხს. წელს ორი საკუთარი სატრანსფორმატორო ბუდე ააგეს ტრესტ „საქსოფელელექტროს“ მექანიკურმა ქარხანამ და „საქშახტმშენის“ ვაკის აგურის ქარხანამ. ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით ჯერ კიდევ 1948 წლის მეოთხე კვარტალისათვის საკუთარი სატრანსფორმატორო ბუდეები უნდა აეგოთ თბილისის ავეჯის ფაბრიკას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მშენებლობას და თბილისის ჰიდროენერგონაგებობათა ინსტიტუტს. დღემდე აღნიშნული ბუდეები აგებული არ არის და ელექტროენერგიით მათი მომარაგება ხდება მოსახლეობისათვის მისაწოდებელი ენერგიის ხარჯზე, რაც შეუწყნარებელია.

ასევე აუცილებელია ყოველი დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტში თბილისის საბჭოს საპროექტო განყოფილებამ გაითვალისწინოს საკუთარი სატრანსფორმატორო ბუდის მშენებლობა.

დიდი სამამულო ომის წლებში რაიონის ქუჩების განათება ძალზე შეზღუდული იყო. ამჟამად კი ქუჩების განათების წერტების რაოდენობა 30 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს, მაგრამ მაინც არასაკმარისია. თელასის ორჯონიკიძის რაიონის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მეოთხე კვარტალში განაპირა უბნებში დამატებით მოაწყოს განათების 300 წერტი, რის შემდეგ რაიონის ყოველი ქუჩა უზრუნველყოფილი იქნება განათებით.

განათების წერტების ზრდის მიუხედავად ჯერ კიდევ სუსტად ვმუშაობთ ქუჩის განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობისათვის. თავის დროზე პროფილაქტიკურ სამუშაოთა ჩატარება და გადამწვარი ელნათურების დროული შეცვლა ნორმალური განათების აუცილებელი პირობაა, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

მომავალი ზამთრის პერიოდში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ძირითადად საქენერგოზე იქნება დამოკიდებული. საქენერგოს სისტემაში საკმარისი ენერგიის არსებობის შემთხვევაშიც კი, თბილისის ცენტრალური ქვესადგური დიდი გადატვირთვის გამო ვერ შეძლებს ელექტროენერგიაზე რაიონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამიტომ აუცილებელია საქენერგოს ხელმძღვანელობამ ამთავითვე იზრუნოს, რათა გაადიდოს ცენტრალური ქვესადგურის სიმძლავრე და დააჩქაროს საბურთალოში ასაგები უკვე დაპროექტებული 35-კილოვატიანი ქვესადგურის მშენებლობის დაწყება.

**ინჟინერი ვ. მეტრეველი**
**თელასის ორჯონიკიძის რაიონის განყოფილების უფროსი**

# ახალგაზრდა კადრები ეუფლებიან პროფესიებს

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნისათვის ადგილობრივ კვალიფიციურ კადრებს ამზადებენ წულუკიძის, ქუთაისისა და ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლები. მიმდინარე წლის აგვისტოში აღნიშნული სასწავლებლებიდან ქარხანაში სამუშაოდ მოვიდა ასობით კურსდამთავრებული. ისინი სასწავლებელში მიღებულ თეორიულ ცოდნას კარგად იყენებენ წარმოების პრაქტიკაში. მაგალითად, ავტომობილის დეტალების მეყალიბეები ნ. რუხაძე, გ. კინწურაშვილი, ა. არახანია, ძმები გურამ და ზურაბ ვამაყმაძეები, ს. ფანცხავა და სხვები კარგად დაეუფლნენ მეყალიბის პროფესიას და საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას 150-180 პროცენტით ასრულებენ.

წარმოებაში ახალმოსულებს გულისხმიერად ეხმარებიან მოწინავე სტახანოველი მეყალიბეები ვ. მიქაძე, ჭ. ფხაკაძე და ს. ბეკოშვილი.

მშენებლობაზე ახალმოსულნი ბ. ჟღენტი, მ. გოგოხია, ი. კრასნიკოვი და სხვები საუკეთესოდ ეუფლებიან მჭედლის პროფესიას და დღიურ ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

# სკოლა შენდება ჭყვიავში

**გორი.** (საკ. კორ.). ლადო კეცხოველის სამშობლო სოფელ ტყვიავში მიმდინარეობს ორსართულიანი შენობის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია საშუალო სკოლისათვის. მშენებლობა დამთავრდება მომავალ წელს, რისთვისაც 1.140 ათასი მანეთი დაიხარჯება.

სასკოლო შენობის აგებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი კოლმეურნეობის წევრები.

# ახალი მშენებლობა

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში დაიწყეს ჩაის ტექნიკუმისათვის სამსართულიანი შენობის აგება. მშენებლობისათვის, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია 1951 წლის ბოლოს, გადადებულია 2.875 ათასი მანეთი. აქედან წელს ათვისებული იქნება 300 ათასი მანეთი.

ტექნიკუმთან სტუდენტთათვის შენდება საერთო საცხოვრებელი.

ზუგდიდის ჩაის ტექნიკუმი ძირითადად ჩაის ტექნოლოგ სპეციალისტებს მიაწოდებს ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ცხაკაიას, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონებს და აფხაზეთის ასს რესპუბლიკას.

# საზაფხულო თეატრი „ნადიკვარზე“

**თელავი.** (საკ. კორ.). კულტურისა და დასვენების პარკში „ნადიკვარზე“ მიმდინარეობს საზაფხულო საესტრადო თეატრის მშენებლობა. თეატრი გათვალისწინებულია 400 მაყურებლისათვის. მას ექნება კეთილმოწყობილი ფოიეები და დამხმარე ოთახები.

# აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მეცხოველეობის განვითარების საქმეში

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ამოცანა ამჟამად მთელი სერიოზულობით დგას. კაჭრეთის რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი მეცხოველეობის განვითარების საქმეს და კარგ შედეგებსაც მიაღწია. მაგალითად, სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ შექმნილი ოთხი ფერმა და პირუტყვის სულადობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმა უკვე შესრულებული აქვთ. კოლმეურნეობას 1.500 ფრინველის ნაცვლად ჰყავს 1.602 ფრთა ფრინველი.

მეცხოველეობის განვითარებისათვის კარგად მუშაობენ აგრეთვე კაჭრეთის კიროვის და მოლოტოვის, ნანიანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები. ისინი აქედანვე სერიოზულად ემზადებიან პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. მათ საკმაო რაოდენობით აქვთ უხეში და წვნიანი საკვები, მიმდინარეობს ბინების რემონტი და დათბუნება.

მაგრამ, როგორც კაჭრეთის რაიონში მეცხოველეობის განვითარების ახლანდელი შედეგებიდან ჩანს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ამ საქმეს ჯერ კიდევ ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ და საჭირო დახმარებას ვერ უწევენ კოლმეურნეობებს.

ამით უნდა აიხსნას ის, რომ რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხისა და ფურკამეჩის სულადობის გეგმაც შეუსრულებელია. კაჭრეთელები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ მეფრინველეობის განვითარებაში. რაიონში 20.000 ფრთა ფრინველის ნაცვლად ჰყავთ 10.958 ფრთა.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ჩალაუბნის კრუპსკაიას, მელაანის მოლოტოვის, ყანდაურის სტალინის, ლამბალოს ვოროშილოვის, დუზაგრამის სტალინის და მიქოიანის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის განვითარების გეგმა არა აქვთ შესრულებული, ხოლო პროდუქტიულობის დავალება სანახევროდაც არ შეუსრულებიათ.

რაიონის არც ერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია წველადობის გეგმა. საშუალოდ რაიონში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 272 ლიტრი რძე. ამის მიზეზი ის არის, რომ რაიონის მეცხოველეობის დარგის მუშაკები, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის, არ არის მოწყობილი ბაგური კვება, არ ეწევა სისტემატური კონტროლი წველადობის აღრიცხვის საქმეს ფერმებში და სხვ.

რაიონის კოლმეურნეობებში მწველელებს მიჩენილი არა ჰყავთ საფურაჟე ძროხები, არ ხდება თვითეული მწყემსის მოწველილი რძის ცალკე აღრიცხვა. ყველა კოლმეურნეობის ფერმებში აღრიცხვის ასეთი წესი აქვთ: მწველელები, ხბოებისა და ძროხების მომვლელები, ფერმების გამგეები და ბრიგადირები თანხმდებიან მთელი ნაწველი რაოდენობა გაყონ კაცდღეებზე და ყველამ თანაბრად დაიწეროს შრომადღე. ასეთი აღრიცხვის დროს თვითეული მწველელის მუშაობის შედეგი არა ჩანს და ვერც პიროვნულად გამოიჩენს თავს იგი. როგორც ჩანს მეცხოველეობის ფერმებში შრომის მოწესრიგებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

სამწლიანი გეგმით წელს გათვალისწინებულია კოლმეურნეობებში პირუტყვისათვის აშენდეს ახალი, კეთილმოწყობილი ბინები. მაგრამ კოლმეურნეობათა უმრავლესობა 1949 წლის დავალების შესრულებას არ შესდგომია. ბევრგან მიწური სადგომების რემონტიც ჭიანურდება.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ კაჭრეთის რაიონში მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში ყველაფერი რიგზე როდია. კაჭრეთელი ბოლშევიკების გადაუდებელი ამოცანაა უახლოეს ხანში აღმოფხვრან ჩამორჩენა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

**ნ. ჯანჯღავა**
**„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი**

# მეცხოველეობის საარაიონთაშორისო გამოფენა

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ქობულეთში მოეწყო მეცხოველეობის საარაიონთაშორისო გამოფენა.

გამოფენა ასახავდა აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებს სოზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ამ გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოფენაზე წარმოადგინა შვიცისა და წითელი ველის ჯიშის ძროხები. გამოფენის დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო შვიცის ჯიშის ერთ-ერთმა ძროხამ, რომელიც დღეში საშუალოდ 22 ლიტრ რძეს აძლევდა.

ეს კოლმეურნეობა რაიონში მეცხოველეობის დარგში ყველაზე მოწინავეა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის მიმდინარე წლის გეგმა აქ შესრულებული აქვთ 133 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვის — 107 პროცენტით, ხოლო წველადობისა — 114 პროცენტით.

თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 746 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრისა.

ყურადღება მიიპყრო გამოფენაზე აგრეთვე მახვილაურის საბჭოთა მეურნეობის მიერ წარმოდგენილმა ბუღა მწარმოებელმა და მისმა ედამ, რომელიც წითელი ველის ჯიშისაა. აღნიშნულმა ძროხამ სეზონში 3.115 ლიტრი რძე მოიწველა.

გამოფენაზე წარმატება მოიპოვა აგრეთვე ბათუმის რაიონის სოფელ კაპრეშუმის კოლმეურნეობა „კულტურის“ წითელი ველის ჯიშისა და შვიცის ჯიშის ძროხებმა, ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმამ, ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის ძროხა „მავრულამ“, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, ამავე სოფლის ედანოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ბათუმის რაიონის შეჯინისწყლის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმამ და ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმამ. ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობამ გამოფენაზე წარმოადგინა ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის 11 დედალორი.

ეიურიმ გამოფენაზე წარმოდგენილი მეცხოველეობის და მეფრინველეობის საუკეთესო ფერმები და მომვლელები დაჯილდოვა ფულადი საჩუქრებით და დიპლომებით.

# საქართველოს პროფკავშირთა ... რესპუბლიკური საბჭო

## პრეზიდიუმში

# პროფკავშირული პირველობისათვის

ამას წინათ ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს პროფკავშირული პირველობისათვის. შეჯიბრების შედეგების განხილვისას პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ტანვარჯიშს, როგორც სპორტის ერთ-ერთ მთავარ სახეობას, უკანასკნელ ხანებში პროფკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას აქცევენ. ამის შედეგად საგრძნობი მიღწევებიც არის.

მაგრამ ამასთან პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაციის ხაზით სპორტის ამ სახეობის განვითარებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებს „ლოკომოტივს“, „შრომასა“ და „კვების მუშაკს“, რომელთაც საუკეთესოდ მოწყობილი სასპორტო დარბაზები აქვთ, ყველა შესაძლებლობა ვერ გამოუყენებიათ ტანვარჯიშის შემდგომი განვითარებისა და ტანმოვარჯიშეთა კოლექტივების კარგად გაწრთვნისათვის.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს და ყველა ძირეულ პროფორგანიზაციებს მეტი ყურადღება მიაქციონ მასებში სპორტის სხვადასხვა სახეობათა განვითარებას, კერძოდ, ტანმოვარჯიშეთა კოლექტივების გამრავლებასა და განმტკიცებას.

ამასთან პრეზიდიუმმა დაამტკიცა ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები. პირველ ჯგუფში პირველი ადგილი მიეკუთვნა სპორტულ საზოგადოება „მეცნიერებას“ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივს, რომელმაც შეჯიბრების განმავლობაში 1693,5 ქულა დააგროვა. გამარჯვებულ სპორტსმენთა კოლექტივს გადაეცა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელი.

მეორე ჯგუფში პირველობა მიეკუთვნა სპორტულ საზოგადოება „კვების მუშაკი“-ს კოლექტივს.

საქართველოს პროფკავშირების ჩემპიონის სახელი 1949 წლისათვის მიენიჭა ვაჟთა შორის სპორტის ოსტატს თ. სანგლიძეს, ხოლო ქალთა შორის ც. მაჭარაშვილს. მათ გადაეცათ სიგელები და ძვირფასი საჩუქრები.

# სემინარები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა ბათუმსა და ფოთში მოაწყო ორკვირიანი სემინარები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად წარმოებისგან მოუწყვეტლივ. ბათუმში სემინარში მონაწილეობს 43 პროფბუშაკი, ხოლო ფოთში — 40.

ლექტორებად გამოყოფილი არიან მომზადებული ამხანაგები. სემინართა პროგრამაში შეტანილია: საკავშირო კ. პ. (ბ) პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ; როგორ მოვაწყოთ პროფკავშირულ მასებში კულტმასობრივი მუშაობა; სოციალური დაზღვევისა და შრომის დაცვის საკითხები; მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობა პროფკავშირის წევრებს შორის; როგორ მოვაწესრიგოთ საწარმოებში ხელფასისა და შრომის ორგანიზაციის საქმე.

ასეთივე სემინარების მოწყობა გათვალისწინებულია რესპუბლიკის სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში.

# კულტურული მომსახურება უნდა გაუმჯობესდეს

კურორტთა სამმართველოს წყალტუბოს № 1 სანატორიუმში კულტურულ-მასობრივი მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. საამისოდ გამოყოფილი ოთახები ავადმყოფებს უკავიათ. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ოთახში მოთავსებულია ოთხი ავადმყოფი, მეორე ოთახში კი — ექიმის კაბინეტი.

დამსვენებლები მოკლებული არიან კულტურულ გართობას. დომინო, შაში, ჭადრაკი და სხვა გასართობი გამოკეტილია. კარგახანია სანატორიუმს კულტმუშაკი არა ჰყავს. სანატორიუმის დირექტორი ნ. იოსელიანი აცხადებს, რომ ახალი კულტმუშაკის მოსვლამდე დამსვენებლებს გასართობ საშუალებებს ვერ მივაწვდიო. დამსვენებლები კი უმთავრესად ოროორი კვირით არიან ჩამოსულნი და, ცხადია, მოკლებული იქნებიან კულტურულ მომსახურებას.

აქ არც კინოსურათებს უჩვენებენ, საღამო-კონცერტები იშვიათად ეწყობა.

ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ № 1 სანატორიუმში დამსვენებელთა კულტმომსახურების საქმეს უგულებელყოფენ.

**გ. მეფისაშვილი**

# ვაზისეული*

III

მდინარე ჩხერიმელას თანატოლივით მიჰყვება გზატკეცილი.

ჯერხანად ვერცხლისფერია ეს მარდი მდინარე, დაწმენდილი, მერე მიწურული შემოდგომის ხშირი წვიმები აამღვრევენ, გამხმარი ჩალისფერი გახდება მდინარე,—მის ნაპირებზეც ასევთვე ფერის ვეებერთელა ლოდები ჩაწოლილი. ეს ლოდები პირველხარისხოვან საშენ მასალად არის მიჩნეული. ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე კარიერებია გამართული. აფეთქებენ ლოდებს; აი ახლაც გზა გადაგვიჭრა კაცმა: ნაღმი ჩადებულია, აკრძალულია გავლა!

მცირე ხნის შემდეგ იხუვლა კლდემ და თითქოს ერთიანად მოეშვა, ხრიალით წამოვიდა ქვა და ღორღი გზისკენ. ამ ლოდებსაც ორჯონიკიძელი ძევენახენი აფეთქებენ! როგორც კი დროს მოიხელთებენ, კარიერებს მიაშურებენ. ამ ქვას გზებისათვისაც იყენებენ ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეები.

დილაადრიან დავტოვეთ ჩხერიმელას ხეობა და ჩრდილოეთისკენ ავყევით აღმართს. ამ გზაზე უქმია მანქანა და ჩვენც დავქვეითდით. რამდენიძე შელმართი ავიარეთ და მივედით სოფელ ხემაღალში. ლამაზი ზეგანი გადაიშალა თვალწინ. ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მაღალი მთებია აღმართული, ამ მთიანში პატარა მდინარეც მიმქუხარებს და ამ მოუსვენარ მდინარეზე ელექტროსადგური აქვთ გამართული ლამელ კოლმეურნეებს.

ასეთი ტანმსხვილი და მაღალი ცაცხვის ხეები იშვიათად შეგხვდება სხვაგან, მეტად თავისებური და ლაღი ბუნებაა ამ ზეგანზე.

— ხალხიც ასეთი იცისო, — ღიმილით წარმოთქვა ერთმა ამხანაგმა და მართლაც ცაცხვის ჩრდილში მსხდომთ დევივით კაცი წამოგვადგა.

ეს გახლავთ ხემაღალის ვაზის პაპა, სოციალისტური შრომის გმირი ივანე კვინიკაძე.

• • •

ვენახებში დავყავართ ივანე კვინიკაძეს და დაწვრილებით გვიყვება ხემაღალში ვაზის დაფუძნებისა და განვითარების ამბავს.

— ბალღი ვიყავი, როცა ფილოქსერამ ერთთავად გაანადგურა ვაზი ჩვენს სოფელში. ადრე ჩვენში ვაზი ხეზე იყო მიშვებული და მას ეკალბარდი სუროსავით შემოეხვეოდა ხოლმე. თუ არ ვცდები, ნახევარი საუკუნის წინათ ვაზი ხიდან ჩამოვიყვანეთ. მაშინ მე მოწიფული ვაჟკაცი ვიყავი და კარგად მახსოვს, რომ ჩემმა მეზობელმა ოცი ფუთი ყურძენი მოკრიფა ერთ ჰექტარზე და ეს ამბავი საარაკო იყო მთელ სოფელში.

თოთხმეტი წლისამ მოვკიდე ხელი ვენახს...

არ გაუმართლა შრომა ხემაღალის ვაზმა ახალგაზრდა ივანე კვინიკაძეს. მცირე და მწირი იყო მისი ჭირნახული. ჯერ თავად იღონა, მერე რჩევისათვის მიმართა აგრონომ ჯაფარიძეს, რომელსაც სოფელ უბისაში შესანიშნავი ვენახი ჰქონდა, საქარაში ეწვია სტარესელსკის მამულში მომუშავე აგრონომებს და ერთადერთი გადაწყვეტილებით დაბრუნდა სოფელში:

ყველა ადგილზე უკეთესად ვაზი ხემაღალში გიხარებს...

ახალი სავენახე გადაბარა, ახალი ნერგები ჩაყარა!

— მერე წინ დაიძრა საქმე. სრული მტევნები დაისხა ვაზმა. ახლა რომ ვენახებს ხედავ—აქ მხოლოდ სიმინდი ეთესათ ჩვენებურ გლეხებს. ვაზი მხოლოდ ეზოში გვქონდა გაშენებული. კოლმეურნეობამ დაარსების პირველსავე წელს ეს ზეგანი მიუჩინა ვაზს და რასაც ხედავ, სულ ახალგაზრდა ვენახია;

ვინ მოთვლის, ამ ვეებერთელა ზეგანზე და ფერდობებზე რამდენი ძირი ვაზია, და ყოველი ძირი ივანე კვინიკაძის ხელითაა დამყნილი. საოცდამეცხრეში გადავდექით, ამბობს ეს ახოვანი კაცი, და ისე მსუბუქად ადის ამ აღმართებზე, რომ ერთიც არ ამოუხვნეშია. მთელი სოფელი შემოგვატარა და ისე შესცქეროდა მის მიერ დამყნილ და გახარებულ ვაზს, თითქოს დღეს ენახოს პირველად.

— უბისაში უფრო ხშირმოსხმული ვაზი მინახავსო,—შენიშნა ჩემმა ამხანაგმა. ივანე კვინიკაძემ არ მოიწონა ეს ამბავი;

— მე შემიძლია ერთ წელს ფუთნახევარი ყურძენი მოკრიფო სრულმსხმოიარე ვაზზე, მაგრამ მეორე და მესამე წელს ეს ვაზი ნაავადმყოფარიანი იქნება. გინახავთ თქვენ ტანწვრილი და ტოტებმსხვილი ხე? როცა ნაყოფის მომცემი ხე იქოჩრება, მრავალ ტოტს გამოისხამს და როცა ჩვენ გვინდა ხე ტანმსხვილი და ჯანმრთელი იყოს, მას ტოტების ნაწილს შემოვაცლით... ვაზიც ასეა. მრავალ ლერწს გამოისხამს და ყველა ლერწი რომ დავუტოვოთ, ვაზი დასუსტდება, გამოფიტება და დაჩიავდება. ლერწების მოჭარბებული სიმრავლე ადრე აბერებს, მცირენაყოფიანს ხდის ვაზს.

— არა, საქმე ის როდია, რომ ერთსა და ორ წელიწადს უხვი მოსავალი მივიღოთ და ამით ვაზის სიკვდილი დავაჩქაროთ... გეტყვით — კარგი მოვლით ვაზს ოცდაათი წლის განმავლობაში შეუძლია სრული ნაყოფის მოცემა! ლერწებისა და მტევნების სიმრავლეს კი არ უნდა გამოვეკიდოთ, არამედ მტევნების სისრულეს.

— სკოლაში არ მისწავლია, არა ვარ წიგნში ჩახედული კაცი, მაგრამ ორმოცდათხუთმეტი წელიწადია ამ საქმეს ვუტრიალებ და ჩემი გამოცდილება ამას მეუბნება...

ადრე გარდაეცვალა მშობლები ივანე კვინიკაძეს. ნათესავებისა და მეზობლების ხელშეწყობით იზრდებოდა. ვერა, ვერ შეაღო სკოლის კარი სწავლამოწყურებულმა ყმაწვილმა, და როგორც კი მკლავში ძალა იგრძნო, ფიზიკურ შრომას დაეწაფა.

...ვაზმა დაუფუძნა ეს ოჯახი, გაუმქრალი კერა გაუჩაღა და თუ ივანეს სწავლის წადილი ვერ აუსრულა, სამაგიეროდ მის ქალ-ვაჟს—ქეთევანსა და ვასილს გაუკაფა გზა სკოლისა და მეცნიერებისაკენ.

უხაროდა მამას მოსწავლე შვილების შემყურეს და ახლა ორმაგია მისი სიხარული, რადგან მისი ნაომარი ვაჟკაცი თავად ასწავლის ლაშეს საშუალო სკოლაში.

ხანდახან როგორღაც დროს იპოვნის ივანე და თავის ქალიშვილს ესტუმრება ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევში. სწორედ ხემაღალიდან წაიღო ივანემ ნერგები და ნოქალაქევშიც შესანიშნავად გაიხარა მის მიერ დამყნილმა ვაზმა.

— ის სოფელი სულ სავენახეა. ისეთი ფერდობები და ზეგანები აქვს, რომ ამოწვერიდან ჩასვლამდე დასთამაშებს მზე! საქართველოს რომელი კუთხისა და რომელი სოფლის ამბავი არ იცის ივანე კვინიკაძემ! ზემო იმერეთი ხომ სულ ფეხით აქვს შემოვლილი. სადაც კი ყოფილა ივანე—ყველგან სავენახე ადგილს პოულობდა.

არა, საქართველოში იშვიათია ისეთი ადგილი, სადაც სათანადო ჯიშის ვაზმა არ გაიხაროს. აი კოლხიდის უხვნაყოფიან ველებზე სახლდებიან ჩვენი ზემოიმერლები და რაჭველები, სულ რამდენიმე წელიწადი და თქვენ ნახავთ — ლიმონთან და ფორთოხალთან ერთად თუ ვენახიც არ იშრიალებს კოლხიდაში.

— მე შემოწმებული მაქვს — სადაც ლეღვი და ბროწეული ხარობს, იქ ვაზისათვისაც ადგილი გასაძლისია!

ახალ შეიამებულზე გამოვემშვიდობეთ ივანე კვინიკაძეს. პატარა მთის მდინარე ყარნაბა გვეხმიანებოდა ხევიდან. ამუშავდა ელსადგური და ხემაღალის კოლმეურნეთა სახლებში ელნათურები აენთო.

ხემაღალის კოლმეურნეობას „წითელი სხივი“ ჰქვია და „წითელი სხივის“ ყოველი წევრის ოჯახში გაუმქრალი სხივი ციმციმებს.

სოფლის ცენტრში, სადაც კოლმეურნეობა „იმედის“ გამგეობაცაა მოთავსებული, კოლმეურნეებს მოეყარათ თავი. სადაცაა რთველი დაიწყება და ამათი სჯა-ბაასის საგანი სწორედ რთველისათვის მზადება იყო. გულდასმით უსმენდნენ ამავე კოლმეურნეობის წევრებს სოციალისტური შრომის გმირის ვლადიმერ დევდარიანსა და პეტრე კიკალიშვილს, — ეს გამოცდილი მევენახენი თავიანთ აზრს უზიარებდნენ ამხანაგებს, — რომელ ნაკვეთზე უნდა დაიწყონ შერჩევითი კრეფა, რამდენი მკრეფავის გამოყოფაა საჭირო...

— წელსაც თუ შარშანდელივით უხვი მოსავალი არ მივიღეთ—შევრცხვებით ხალხის წინაშე!

— ვაზს როგორ ასხია, ხომ ხედავთ? — შარშანდელივით კი არა, შარშანდელზე მეტი უნდა მოვიჭირნახულოთ!

ვერც აბესალომ და დავით მანჯავიძეს, ვერც დავით ჟორჟოლიანს, ივანე გელაშვილსა და ნოე მანჯავიძეს ვერ ეტყვით, რომ ესენი შარშანდელზე მეტ მოსავალს არ მიიღებენ წელს. მათ იციან თავიანთი ვენახის ამბავი. მათმა სასახელო შრომამ ქვეყანას მოჰფინა კოლმეურნეობა „იმედის“ სახელი და ამ სახელს ისინი არ შეარცხვენენ...

შემოდგომის ამ მშვიდ დამეში ჩხერიმელას გაღმა-გამოღმა განათებული ოდა-სახლები ჩანან.

ვაზისეულია ეს ოდა-სახლები, ოდა-სახლებში ანთებული შუქიც ვაზისეულია...

**ალიო ადამია**
**მაიაკოვსკი-ზესტაფონი-ორჯონიკიძე.**
სექტემბერი.

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 202.

# გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელმა არმიის გენერალმა ვ. ი. ჩუიკოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმი

**ბერლინი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინში დღეს გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელმა არმიის გენერალმა ვ. ი. ჩუიკოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის პრეზიდენტი ოიჰანეს დიმანი, სახალხო პალატის ვიცე-პრეზიდენტები და პრეზიდიუმის წევრები, აგრეთვე ოტო გროტეოლი, რომელსაც სახალხო პალატამ მიანდო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შედგენა.

მიღება მოხდა გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებლის რეზიდენციაში კარლსჰორსტში.

გერმანელთა მხრივ სიტყვა წარმოთქვა დროებითი სახალხო პალატის პრეზიდენტმა ოიჰანეს დიმანმა, რომელმაც პალატის პრეზიდიუმის სახელით შემდეგი განაცხადა:

„დიდად პატივცემულო ბატონო არმიის გენერალო, ბატონებო!

7 ოქტომბერს გერმანიის სახალხო საბჭო გარდაქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით სახალხო პალატად. მე, როგორც დროებითი სახალხო პალატის პრეზიდენტმა, ნება მივეცი ჩემს თავს 8 ოქტომბერს გამომეგზავნა თქვენთვის წერილი, რომლითაც გაუწყეთ, რომ დაარსდა დროებითი სახალხო პალატა, და მოგახსენეთ, თუ რა პოლიტიკურმა მოტივებმა გადაადგმევინა გერმანიის სახალხო საბჭოს ეს ნაბიჯი. ასეთი მოტივებია: პოტსდამის შეთანხმებათა დებულებების უხეში დარღვევა, რაც ითით გამოიხატა, რომ ჩაშლილ იქნა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის აღდგენა დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს შექმნის გზით, აგრეთვე გერმანიის სამ დასავლეთ ზონაში განხორციელებული სხვა ღონისძიებანი, რომლებიც მომართულია გერმანიის ერთიანობისა და მისი მშვიდობიანი და დემოკრატიული აღმშენებლობის წინააღმდეგ.

შემდეგ ამ წერილში მე გადმოგეცით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის პირველ სხდომაზე მიღებული კანონები და გთხოვეთ ცნობად მიგიღოთ, რომ დროებითმა სახალხო პალატამ ბ-ნ ოტო გროტეოლს დაავალა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შედგენა.

შემდეგ გაცნობეთ ამ სხდომაზე ერთხმად არჩეული დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის შემადგენლობა და სურვილი გამოვთქვი წარმომედგინა თქვენთვის პრეზიდიუმის წევრები, აგრეთვე შესაძლებლობა მიმეცა პრეზიდიუმისათვის ბ-ნ ოტო გროტეოლთან ერთად მოგახსენებინა თქვენთვის, ბ-ნო არმიის გენერალო, ჩვენი მოქმედების პოლიტიკური მოტივები და იმ მუშაობის ნიზნები, რომლის დასაწყებადაც გთხოვთ თანხმობას. თქვენი ნებართვით ბ-ნი გროტეოლი ახლა მოგახსენებთ ამ მიზნებს.

მე მსურს გერმანელი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირმა გაგვთავისუფლა ფაშისტური ტერორის რეჟიმისაგან. ამ უკანასკნელწლებში საბჭოთა კავშირი გვიწევდა დახმარებას ჩვენს ღონისძიებებში, რაც მიმართული იყო ჩვენს ეროვნული არსებობის შენარჩუნებისაკენ. საბჭოთა კავშირი ერთადერთი დიდი სახელმწიფოა, რომელიც ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე მოითხოვდა გერმანიის ერთიანობის აღდგენას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

იმედს გამოვთქვამ, რომ დროებითი სახალხო პალატის მიერ დასახულ ღონისძიებებს მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირი".

თავისი სიტყვის შემდეგ ოიჰანეს დიმანმა არმიის გენერალ ჩუიკოვს წარუდგინა გერმანიის დროებითი სახალხო პალატის ვიცე-პრეზიდენტები გერმან მატერნი, პროფესორები ჰუგო ჰიმსნი და ოონი ლერი, აგრეთვე პრეზიდიუმის წევრები: ფრიდრიხ ებერტი, ჰერბერტ ჰოფმანი, ერიხ გესკე, ფრიდელ მალტერი და ელი შმიდტი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ოტო გროტეოლმა. მან განაცხადა: „დიდად პატივცემულო ბ-ნო გენერალო! გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა სახალხო პალატამ დაამტკიცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 92 მუხლის საფუძველზე შედგენილი დროებითი მთავრობა. მე ეს ვიკისრე.

მთავრობის მუშაობა იწარმოებს პოტსდამის გადაწყვეტილებების და მოკავშირეთა სხვა იმ დეკლარაციების დებულებათა სრული შესაბამისობით, რომლებიც გერმანიას შეეხებიან. ამასთან ჩვენ გავსებით შეგნებული გვაქვს, თუ რა მძიმე დანაშაული ეკისრება გერმანელ ხალხს იმის შედეგად, რომ იგი ბრმად მიჰყვებოდა ნაციონალ-სოციალისტ მბრძანებელთა აგრესიულ პოლიტიკას და ამით შესაძლებელი გახადა ის დანაშაულობანი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილ იქნა ევროპის ხალხების და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის ხალხების მიმართ.

დროებითს სახალხო პალატად გარდაქმნილ გერმანიის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვცნობთ გერმანელი ხალხისათვის დაკისრებულ სარეპარაციო ვალდებულებებს. ჩვენ განზრახული გვაქვს გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ ფაშიზმისა და მილიტარიზმის სულისკვეთების წინააღმდეგ, რომელმაც ხალხებს თავს მოახვია მეორე მსოფლიო ომი. ჩვენ ვცდილობთ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის აღდგენას. ეს პრინციპები შეესაბამება იმ სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ჩვენ გვსურს საქმიანი მთავრობა ვიყოთ. ჩვენი მუშაობის მიზანი უნდა იყოს ჩვენი ხალხის საარსებო პირობების გაუმჯობესება და აღდგენა. ამ ამოცანების შესასრულებლად ჩვენს ხალხს ესაჭიროება მშვიდობა, რის მიღწევაც ჩვენი კეთილშობილური ამოცანაა.

იმის იმედით, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალ დროებითს მთავრობას მიანდობს მუშაობის გაშლის უფლებასა და შესაძლებლობას, განზრახული მაქვს ჩემ მიერ შექმნილ მთავრობასთან ერთად ამა წლის 12 ოქტომბერს დროებითი სახალხო პალატის სხდომაზე გავაკეთო მთავრობის განცხადება".

საბჭოთა მთავრობის დავალებით გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელმა არმიის გენერალმა ჩუიკოვმა გერმანიის წარმომადგენლებს განცხადება გაუკეთა იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც გერმანიის სახალხო საბჭომ გამოიტანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შეყვანისა და ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ.

თავის განცხადებაში (რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე. — **რედ.**) არმიის გენერალმა ჩუიკოვმა თქვა. რომ საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითს მთავრობას მმართველობის ფუნქციები, რაც დღემდე საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციას ეკუთვნოდა.

არმიის გენერალ ჩუიკოვის განცხადება მოსმენილ იქნა დაძაბული ყურადღებით და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის დელეგაციაზე.

დროებითი სახალხო პალატის პრეზიდენტმა ოიჰანეს დიმანმა თავის მეორე სიტყვაში გაანაცხადა, რომ დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის წევრებმა დიდი მღელვარებით მოისმინეს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ მიიღო გერმანიაში შექმნილი მდგომარეობის გამო. „როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პრეზიდენტი, — თქვა მან, — გერმანელი ხალხის უდიდეს მადლობას მოგახსენებ საბჭოთა მთავრობას ამ გადაწყვეტილებებისათვის. პირობას გაძლევთ რომ გერმანელი ხალხი გაამართლებს ამ დიდ ნდობას".

შემდეგ ოტო გროტეოლმა მეორე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადებამ მუშაობისათვის გზა გაუხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას. გროტეოლმა განაცხადა. რომ მან უკვე დაამთავრა მოლაპარაკება დროებითი მთავრობის შედგენის შესახებ. გროტეოლმა გულითადი მადლობა გამოთქვა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების გამო და პირობა დადო საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე პასუხი გასცეს 12 ოქტომბერს თავის მთავრობის დეკლარაციაში.

მიღება დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წარმომადგენლების საუბრით, რამაც გულითად ატმოსფეროში ჩაიარა.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების გამო უცხოეთის პრესის გამოხმაურება

### რუმინეთი

**ბუქარესტი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). „ოგერ-პრესის სააგენტოს ცნობით, რუმინული პრესა კვლავ უკეთებს კომენტარს ცნობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. გაზეთები აქცეყნებენ სტატიებს შემდეგი სათაურებით: „ახალი ძალა ემატება მშვიდობისა და დემოკრატიის უძლეველ ბანაკს"; „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარული ბრძოლის წარმატება და მშვიდობის მთელი ფრონტის გამარჯვებაა"; „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილია".

გაზეთი „რომანია ლიბერა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოხმაურებას იწვევს იმპერიალისტების მიერ ოკუპირებული ზონების გერმანელი მოსახლეობის ფართო მასებში, რომლებიც მიისწრაფვიან იმისკენ, რომ შეიქმნას გერმანიის ერთიანი სახელმწიფო დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. გაზეთი აღნიშნავს იმ მუდმივ დახმარებასა და მხარდაჭერას, რასაც გერმანელ ხალხს საბჭოთა კავშირი უწევს, და წერს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე ამჟამად მდგომი დიდი ამოცანების განხორციელება უზრუნველყოფილია გერმანელი ხალხის სურვილით — თავისი ქვეყანა იხსნას იმ უბედურებისაგან, რომლისკენაც მას ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ეწევიან. ამ ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს აგრეთვე ის, რომ არსებობს გერმანიის მუშათა კლასის პარტია და დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ფრონტი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

### უნგრეთი

**ბუდაპეშტი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთები „საბად ნეპი", „ნეფსავა" და სხვები სარედაქციო სტატიებს უძღვნიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

წარმოიშვა ახალი დიდი დემოკრატიული სახელმწიფო, — წერს „საბად ნეპი", — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გერმანელი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით, კმაყოფილებით და მომავლისადმი რწმენით შეხვდა ამ ისტორიულ მოვლენას. მის სიხარულსა და ზეიმს იზიარებს მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრი, მშვიდობის ფრონტის მრავალმილიონიანი მასები.

გერმანელი ხალხის ცხოვრებაში, — აღნიშნავს გაზეთი, — გარდატეხა მოხდა. დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით გერმანიამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა თავისი ეროვნული აღმავლობის უზრუნველყოფისა და მშვიდობის უძლეველ ფრონტთან თავისი კავშირის განმტკიცებისაკენ მიმავალ გზაზე. ეს გადაწყვეტილება იმპერიალისტებისათვის გაკეთებული დამაჯერებელი და არაორაზროვანი პასუხია. დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით გერმანელმა მშრომელებმა მთელ მსოფლიოს განუცხადეს, რომ ისინი ხელიდან აღარ გაუშვებენ თავიანთ ბედის, თავიანთი მომავლის ხელმძღვანელობას, რომ ისინი მტკიცედ მოითხოვენ მშვიდობას, რომ ისინი შეუდრეკლად იბრძვიან თავიანთი ერთიანი დამოუკიდებელი სამშობლოს შექმნისათვის და ნებას არავის მისცემენ იგი კვლავ გახადონ იარაღად იმპერიალისტთა ხელში, გადააქცევინონ ახალი ომის პლაცდარმად.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანელი ხალხის მშვიდობიანი მომავლისა და დემოკრატიული განვითარების გარანტიაა საბჭოთა კავშირი, და დასასრულ წერს: „გერმანიის ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა თავის დროშებს ზლის მშვიდობის ძალების შეუფერხებელი ძლევამოსილი შეტევის მომენტში. ყოველი დემოკრატიულად განწყობილი მშვიდობისმოყვარე ადამიანი უსურვებს მას წარმატებას ბრძოლაში ინიციატივ, რომ ერთიანი თავისუფალი გერმანიის შექმნა მშვიდობის განმტკიცებას ნიშნავს".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, — წერს „ნეპსაგი", — ნიშნავს, რომ გერმანელი ხალხი მრავალი მძიმე წლის შემდეგ კვლავ დადგა მტკიცე ნიადაგზე. გერმანიის დემოკრატიული პარტიები და მასობრივი ორგანიზაციები გაერთიანდნენ ერთიან მძლავრ ფრონტად — დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტად, რათა საერთო ძალღონით იბრძოლონ ერთიანი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შესაქმნელად. მაშინ, როცა ბონი გერმანიის გათიშვის სიმბოლოს წარმოადგენს, ბერლინი მისი ერთიანობის სიმბოლოა. ბონი იმპერიალისტური ომის, გერმანიაში ნეოფაშიზმის კერაა; ბერლინი მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის გერმანიის საუკეთესო მებრძოლთა თავშყრის ადგილია. ბონი სამხედრო ავანტიურაა. ბერლინი მშვიდობიანი მშენებლობაა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, — მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ ბონის კომედიის მონაწილეები წარმოადგენენ არა გერმანელ ხალხს, არამედ საერთაშორისო კაპიტალს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ მხოლოდ ბერლინის დემოკრატიულ მთავრობას აქვს უფლება გამოვიდეს გერმანელი ხალხის სახელით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მშვიდობის ძალების ახალი დიდი გამარჯვებაა, იმპერიალისტების მძიმე დამარცხებაა.

### ფინეთი

**ჰელსინკი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ტიეტეანსან სანომატი" კომენტარს უკეთებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ რესპუბლიკის შექმნა ნიშნავს ერთიანი დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლაში წინ გადადგმულ ახალ ნაბიჯს.

### ბელგია

**ბრიუსელი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგიის დედაქალაქისა და პროვინციის პრესის ყურადღება მიპყრობილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე. გაზეთები აქცეყნებენ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მანიფესტის ამონაწერებს და მის კომენტარებს.

გაზეთი „დერაო რუეო" მიესალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. „ყველა ხალხთან მშვიდობიანად ცხოვრება — ასეთია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობის პროგრამა", — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი. გაზეთი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მიაჩნია მშვიდობის საქმეში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილად.

# ავსტრიის პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგები

**ვენა,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). დამთავრდა ხმების დათვლა ავსტრიის ყველა 25 საარჩევნო ოლქში.

პარლამენტის მანდატები განაწილებულია შემდეგნაირად: მემარცხენე ბლოკი — 5 (პარლამენტის წინანდელ შემადგენლობაში კომუნისტურ პარტიას 4 ადგილი ჰქონდა).

ავსტრიის სოციალისტური პარტია — 67 (წინათ — 76).

ავსტრიის „სახალხო პარტია" — 77 (წინათ — 85).

„დამოუკიდებელთა კავშირი" — 16.

ამრიგად, ორივე წინანდელმა მმართველმა პარტიამ დაკარგა მანდატების ნაწილი, ხოლო მემარცხენე ბლოკმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ კიდევაც განამტკიცა თავისი პოზიციები.

„სახალხო პარტიამ" დაკარგა აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში.

**ვენა,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). წინასწარი ცნობით, 100 ადგილიდან ვენის ლანდტაგში მემარცხენე ბლოკმა მიიღო — 7 ადგილი (ერთით მეტი, ვიდრე 1945 წელს), სოციალისტურმა პარტიამ — 52 (6-ით ნაკლები, ვიდრე 1945 წელს), „სახალხო პარტიამ" — 35 (ერთით ნაკლები, ვიდრე 1945 წელს), „დამოუკიდებელთა კავშირმა" — 6.

# პეკინს ჩავიდა საბჭოთა ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი

**პეკინი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პეკინს ჩამოვიდა საბჭოთა ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი. ვაგზალზე მას შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, ქალაქ პეკინის მერი ნე ჟონ-ჯენი, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შენ ჩუნ-ჟუ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი დუნ ბი-უ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვან ძია-სიანი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სრულიად ჩინეთის ასოციაციის თავმჯდომარე გო მო-ჟო, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და სხვები.

შეხვედრისას შესრულებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ელჩმა ნ. ვ. როშჩინმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

როდესაც ნ. ვ. როშჩინი ვაგზლის მოედანზე გამოჩნდა, მუშების, სტუდენტებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ათასზე მეტი წარმომადგენელი მას „ვაშას" ძახილით მიესალმა.

# სინხუას სააგენტოს სამხედრო ცნობები

**პეკინი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი სამხრეთის ფრონტიდან იუწყება, რომ გუანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედმა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა 7 ოქტომბერს გათავისუფლეს ქალაქი კუკონი (შაოჯოუ), რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტია კანტონ-ხანკოუს რკინიგზაზე, 180 კილომეტრზე კანტონის ჩრდილოეთით. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარების მეორე ჯგუფმა ერთი დღით ადრე დაიკავა სამაზრო ქალაქი იანფა, 40 კილომეტრზე კუკონის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები, რომლებიც სამხრეთისაკენ უტევენ, გუანდუნის პროვინციაში აჩაღებენ მოქმედებას იმ შეტევასთან ერთად, რასაც სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარები ხუნანის პროვინციის აღმოსავლეთ, დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში ეწევიან.

**პეკინი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს ნანჯოუელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მოწინავე რაზმებმა განსუს პროვინციაში სექტემბრის დამლევს გათავისუფლეს ხუთი სამაზრო ქალაქი განსუ-სინძიანის გზატკეცილის გაყოლებით და სინძიანის პროვინციის საზღვარს უახლოვდებიან. დაკავებულ ქალაქებს შორისაა იუმინი — ნავთის მოპოვების ცენტრი, ლინჯე, გასტარ, ცინჩუანი და ანსი. ამ პერიოდში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გომინდანელთა ჯარების 20.000-ზე მეტი კაცი. განსუს პროვინციაა ამჟამად მთლიანად გაწმენდილია გომინდანის ჯარების ნაშთებისაგან.

**პეკინი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფრონტიდან იუწყება, რომ 8 ოქტომბერს ცენტრალურ ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა ქალაქი ხენიანი. ქალაქი ხენიანი, როგორც კანტონ-ჰანკოუს და ხუნან-გუანსის რკინიგზების საკავშირო პუნქტი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტია ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. ხენიანი აგრეთვე გომინდანის არმიის საავიაციო ბაზას წარმოადგენდა. გენერალ ბაი ძუნ-სის ჯარების შტაბი, რომელიც ხენიანში იმყოფებოდა, თავზარდაცემული გაიქცა ქალაქიდან.

# დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება პოლონეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის

**პეკინი,** 9 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ სპასუხო ნოტა გაუგზავნა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრს ლეშჩიცას. ნოტაში ნათქვამია, რომ „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა მხურვალედ მიესალმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ დამყარებას და გადაწყვეტს მოხდეს ელჩების გაცვლა".

# დიალექტოლოგიური ექსპედიციები

წინა წლებში ჩატარებული დიალექტოლოგიური მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისა და ახალი მასალების შეკრების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტმა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან ერთად მიმდინარე წელს მოაწყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია კახეთში, აბხეტის რაიონში.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებაში ქართლურთან ერთად მნიშვნელოვანი წილი უძევს კახურ დიალექტსაც. ჩვენს სიძველეთსაცავებში ინახება მთელი რიგი ისტორიული სახეთები, რომელთა ენა მდიდრად შეიცავს კახური კილოს თავისებურებებს. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც კახური დიალექტის შესწავლას აქვს ქართული ენის განვითარების ისტორიისათვის.

საბჭოთა სოფელში დამკვიდრებულმა სოციალისტურმა ცხოვრებამ ახალი, საკოლმეურნეო ყოფის ამსახველი მდიდარი ლექსიკა შექმნა. კახური დიალექტი ამ მხრივაც საყურადღებო მონაცემებს შეიცავს. ახალი ლექსიკის შესწავლა, ძველი ყოფის ამსახველ ლექსიკასთან შედარებით, ენის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დოცენტები იუ. გიგინეიშვილი და არ. მარტიროსოვი, კახეთში დაჰყო 1 თვეს. ამ ხნის განმავლობაში შესწავლილ იქნა აბხეტის რაიონის სოფლები—აბხეტის, საბეროს, ბულაანის, მატნის, ოჟიოს, ქისტაურის, აწყურის, ზემო ზოდაშენის, კოლოთოს, ჩაბინაანის მოსახლეობის მეტყველება. ექსპედიციამ ჩაიწერა თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი დიდძალი პროზაული და პოეტური ტექსტები, ისტორიული ხასიათის თქმულებები და სხვა ფოლკლორული მასალები, რომელებშიც მკვეთრად არის ასახული კახური დიალექტის ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი. ამასთან ერთად შეკრება მეგინდურეობის, მეგვინახეობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, მეხილეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მდიდარი ლექსიკური მასალები.

ექსპედიციის მონაწილეები გაეცნენ შუამთის, ოყალთოს, ალავერდისა და სხვა ადგილების ღირსშესანიშნავ ისტორიულ ძეგლებს.

**გ. შალამბერიძე**

# ჭიათურის სახელმწიფო თეატრი

**ჭიათურა** (სამ. კორ.). ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი (დირექტორი და მთავარი რეჟისორი პ. ფრანგიშვილი) ახალ სეზონს თეატრის ახალ შენობაში ხსნის.

ახალი სეზონისათვის მზადებას თეატრის კოლექტივი პირველი აგვისტოდან შეუდგა. სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს ილო მოსაშვილის პიესით „ჩაძირული ქვეყანა". პიესას დგამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი პ. ფრანგიშვილი, აფორმებს მხატვარი მ. აბაანდაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ: თ. ალაშიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ვ. სვანელი, ა. დათებაშვილი, რ. აბზიანიძე, ნ. გუგულაშვილი, მ. ვაშაძე, გრ. ტყვანლაძე, ა. ნარათაშვილი, გ. ნუცუბიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ბ. დურმიშიძე, მ. კუხიანი, კ. ქამუშაძე, გ. მოდებაძე, ბ. ვაშაძე და სხვ.

მომდინარე სეზონში თეატრი დადგამს გ. მდივნის პიესას „ვარდი" (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ცომაიასი, მხატვარი მ. აბაანდაძე), ვ. პატარაიას — „უჩა უჩარდია" (რომელსაც დადგამს რეჟისორი მ. ვაშაძე, გააფორმებს მ. აბაანდაძე), კ. სიმონოვის — „უცხო აჩრდილი" (დადგმა რეჟისორ გ. ტყვაბლაძისა).

თეატრის კოლექტივი დადგამს აგრეთვე მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვას", ვ. კარსანიძის „მარადმწვანე ქედებს", თ. დონეაშვილის „გამარჯვებულთა ღიმილს", სუროვის „მწვანე ქუჩას", გ. კალდერონის „თავის თავის დარაჯს" და სხვ.

# ლექცია

**ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე,** აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) **გ. ბუხნიკაშვილი** წაიკითხავს ლექციას თემაზე — **„მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში".**

ბილეთები იყიდება.

**პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი**

# გერმანელი ხალხი მიესალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას

**ბერლინი,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმში, პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების გამგეობებში, აგრეთვე დემოკრატიული გაზეთების რედაქციებში განეწყვეტილივ მოდის რეზოლუციები, წერილები და დეპეშები, რომლებითაც გერმანიის მშრომელები მიესალმებიან დროებითი სახალხო პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ეროვნული ფრონტის მანიფესტს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად ოტო გროტეოლის დანიშვნას.

როგორც ღიღს გაზეთი „ტრიბუნე" აღნიშნავს, საბჭოთა ზონისა და ბერლინის ყველა საწარმოში მშრომელები გროტეოლის მთავრობას აღუთქვამენ სრულ მხარდაჭერას გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის, საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლაში და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ბერლინის იუსტიციის ორგანოების ათასამდე თანამშრომელი თავის რეზოლუციაში აცხადებს: „დედაქალაქის დემოკრატიული იუსტიციის მუშაკები უერთდებიან დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მანიფესტის მოთხოვნებსა და მიზნებს. ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიური და ამით უფლებრივი ერთიანობაც".

შარლოტენბურგის ფირმის (ბერლინის ფრანგული სექტორი) პროფკავშირული ჯგუფის ხელმძღვანელობის რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ მივესალმებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ შექმნას. დარწმუნებული ვართ, რომ იგი იმოქმედებს ერთიან გერმანიაში ყველა მშრომელთა სასარგებლოდ. დასავლეთ ბერლინის მეურნეობის დონის ამაღლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ გერმანიის ერთიან რესპუბლიკაში".

ანალოგიური რეზოლუციები და დეპეშები მოდის ბერლინის ყველა სექტორის ასობით საწარმოსაგან.

რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა მიესალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შექმნას გერმანიის დედაქალაქ ბერლინში.

„რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა 250 ათასი წევრის სახელით, — ნათქვამია მისასალმებაში, — სრულ მხარდაჭერას აღუთქვამს დროებით მთავრობას. ცენტრალური გამგეობა მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის რკინიგზელებს მთელი ძალებით გამოვიდნენ თავიანთი საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად გერმანიის ერთიანობისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში".

გაზეთი „ტრიბუნე" ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შედგენას და წერს:

„მთავრობა, რომელიც ხალხ შეიქმნება, ხალხიდან გამოსული და ხალხისათვის მოქმედი მთავრობა იქნება. მთავრობას, რომელიც ბერლინში იქმნება, ბონის მთავრობასთან შედარებით სუფერენული უფლებები ექნება. ყოველ მის ნაბიჯს თან მოჰყვება სოკუპაციო რეჟიმის თანდათანობით გაუქმება. ამით იგი გადაჭრით განსხვავდება ბონის დაშესებულებისაგან, რომელიც ახორციელებს მხოლოდ დასავლეთ მოკუპირებელ სახელმწიფოთა ბრძანებებს და რომლის ამოცანაა საოკუპაციო სტატუტის განუსაზღვრელი ხნით სტაბილიზ